სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **თაბუკა ციმინტია**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე

დარგის ექსპერტები:

ეკატერინე ბალარჯიშვილი

თეა ხარაზიშვილი

ირმა ღარიბაშვილი

გიული გურგენიძე

მაია ხურცილავა

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია

ირმა ღარიბაშვილი

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე

თეა ხარაზიშვილი

ეკატერინე ბალარჯიშვილი

გიული გურგენიძე

მაია ხურცილავა

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია

ირმა ღარიბაშვილი

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე

თეა ხარაზიშვილი

ეკატერინე ბალარჯიშვილი

გიული გურგენიძე

მაია ხურცილავა

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ავტორიზაციის განაცხადის საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 მაისის **№586180** ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - თაბუკა ციმინტია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ვალერი ჯაჯანიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი) და დარგის ექსპერტები (წევრები): ეკატერინე ბალარჯიშვილი, თეა ხარაზიშვილი, ირმა ღარიბაშვილი, გიული გურგენიძე, მაია ხურცილავა (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“) დაგვევალა **2025 წლის 17, 18 და 19 ივნისს,** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქ. ახალციხეში, სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“.

2025 წლის 10 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიუირების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი №1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2025 წლის 17, 18 და 19 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს (10 პირი), პროფესიულ სტუდენტებს (30 პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 5 პირი), დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები, მიწის ნაკვეთები, რის შედეგადაც სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	**სრული** 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	**სრული** 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	**სრული** 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**მეტწილი** 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	**სრული** 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	**სრული** 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს სრული გამჭვირვალობით მოაწესრიგოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები; კერძოდ, მასწავლებელთა დატვირთვის ტაბელიზაცია. სასწავლო ცხრილები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კალენდარული გეგმები, ვალიდაცია და შეფასების ინსტუმენტები; დაწესებულებაში დაფიქსირებული საუკეთესო პრაქტიკა სავსებით შესაძლებელია დაინერგოს პროფესიულ განათლებაში.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება</u>

<u>განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება</u>

I სტანდარტი

1.2.1.1 <u>დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას,</u> *<u>თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სწორად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც დაეხმარება ადეკვატური ღონისძიებები განახორციელოს გაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის.</u>*

II სტანდარტი

2.1.1.6 - დაწესებულებას განაცხადით წარმოდგენილ პროგრამის (საფინანსო სერვისები, ადმინისტრაციული სერვისები) პარამეტრების ფორმაში განხორციელების ფორმა მითითებული ჰქონდა „იმიტირებული“ „კოოპერაციულის“ ნაცვლად; გასაუბრებით და დოკუმენტების დათვალიერებით, ასევე პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდებოდა პროგრამის განხორციელების ფორმა „კოოპერაციული“ და ადგილი ჰქონდა მხოლოდ ტექნიკურ უზუსტობას, რის საფუძველზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს აღნიშნული უზუსტობა.

III სტანდარტი

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3.1.1.1 - *კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით არაა განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში პარტნიორის სასწავლ-საწარმოს ინფორმირების საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ დუალური პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების 50% და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ანუ პარტნიორ სასწავლო-საწარმოში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სტუდენტის, ისე პარტნიორი კომპანიის ინტერესებიც.*

დაწესებულებამ დაარეგულიროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირთა კოლეჯში ჩარიცხვის პირობები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

3.1.1.5 - დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია რეგულაციაში აღწეროს სსსმ სტუდენტის ჩართულობის პროცესი და უფრო მკაფიო გახადოს ამ ინდიკატორით მოთხოვნილი წესი

IV სტანდარტი

-

V სტანდარტი

-

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

VIII. სტანდარტების შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მისია ხაზს უსვამს დაწესებულების ორიენტირს ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას და ისწრაფვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. კოლეჯი საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. კოლეჯის მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის მრავალპროფილურია და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს შრომის ბაზართან მჭიდრო თანამშრომლობით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია კოლეჯის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს. ისწრაფვის ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, რითაც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კვალიფიციური ადმინისტრაციული და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საშუალებით, ასევე კერძო, საჯარო და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ინტეგრირებული და არაინტეგრიებული, მოდულური და დუალური, ასევე მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები.

დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებული ორიენტირის პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, კოლეჯი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისთვის სასწავლო საწარმოების ჩართულობით ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც მოდულური, ისე კოოპერაციული მიდგომით;
- უწყვეტი განათლების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს;
- კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ საერთაშორისო პრაქტიკას სწავლების თუ დარგის განვითარების მიმართულებით, მათ შორის უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტის გზით;
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში, კონსულტირების გზით;
- კოლეჯის შიდა აქტები არ არღვევს საზოგადოების წევრთა უფლებებს, არ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს და ხელს უწყობს თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რითაც პასუხობს დაწესებულების ღირებულებებს - *თანამშრომლობითი და თანასწორი გარემოს შექმნა; დაწესებულების ღიაობა, გამჭვირვალობა*;
- დაწესებულებაში ძირითადი პროცესის წარმართვისათვის იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით წარმართავენ საქმიანობას, რითაც კოლეჯი ეხმიანება საკუთარ ღირებულებებს - თანამშრომლობა და *გუნდურობა*;
- კოლეჯში არაერთი ექსტრაკურიკულური ღონისძიებები ტარდება სტუდენტებისა და ეთნიკური უმცირესობების თანამონაწილეობით, სადაც ასევე ჩართულნი არიან სხვადასხვა დარგის მასწავლებლები და რეგიონის სხვადასხვა ორგანიზაციები, რითაც ეხმიანება საკუთარ ღირებულებას - სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება; ტოლერანტობა/თანასწორობა;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი” არეგულირებს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის, გაზიარებისა და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების წესსა და პროცედურებს. ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი და ჩართული პირები. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებაში ასევე, მისიის, ხედვის, ღირებულებების ცვლილებების გატარების პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პერსონალი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და მოწვეული სხვა დაინტერესებული მხარეები. დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრულია - აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი,

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი. კოლეჯში შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე მისიის, ხედვის, ღირებულებების შეცვლა შესაძლოა განხორციელდეს დაწესებულების დირექტორის ან სხვა დაინტერესებული პირის ინიცირებით.
კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განახლებულია 2022 წელს, კერძოდ სტრატეგიულ გეგმაში შევიდა ცვლილებები და დაემატა გენდერული საკითხები, ასევე გასწორდა ბოლო მონიტორინგის შედეგად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული 1.2.1.3 ინდიკატორი, რაც ითვალისწინებს გაზომვადი და მიღწევადი ინდიკატორების გაწერას; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დასტურდება კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობა, წარმოდგენილია მიმოწერისა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები, რაც ასახულია კოლეჯის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში.
კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, დართული აქვს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს.
კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუირების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით /ცვლილება- 2022 წლის 18 ნოემბრის № 101 ბრძანება - სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი
- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის №1 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ. №21, 26.04.2022 წ.) დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ 2019 – 2025 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, 2025 წელი;
- კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მტკიცებულებები: კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა მიმოწერა, სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები;
- კოლეჯის ვებგვერდი -

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი” არეგულირებს დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები, კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნაზე/შეცვლაზე პასუხისმგებელი პირები, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/შეცვლის/გაზიარების წესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების/შეცვლის/გაზიარების წესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების პროცედურები.

კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მის შემუშავებაში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პერსონალი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და მოწვეული სხვა დაინტერესებული მხარეები. დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრულია - აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი. აღნიშნულის დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები სტრატეგიული და სამოქმედო შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დასტურდება კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობა, წარმოდგენილია მიმოწერისა და

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, დასწრების ფურცლები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები, რაც ასახულია კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.
კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, ახორციელებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. *თუმცა, მიზანშეწონილია დაწესებულებამ სწორად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც დაეხმარება ადეკვატური ღონისძიებები განახორციელოს ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, დაწესებულებას ძლიერ მხარეებად განსაზღვრული აქვს „ადმინისტრირების გამოცდილება"; „არსებული კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები", "დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება"; ამასთან სუსტ მხარეებში მოცემულია - „პროფესიული განათლების კვალიფიციური, მოტივირებული მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა", „კოლეჯის ადმინისტრირებაში ადამიანური რესურსის ნაკლებობა", "კოლეჯის კურსდამთავრებულების დაბალი ანაზღაურება" ,"სტუდენტთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი" რაც ურთიერთწინააღმდეგობაშია. ამასთანავე, დაწესებულებას შესაძლებლობებში განსაზღვრული აქვს „ დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა", რაც წინააღმდეგობაში მოდის სუსტ მხარეში გასაზღვრული ჩანაწერი, კერძოდ, "სახელმწიფო სუბსიდიების საკუთარი შემოსავლების სიმწირე".*

სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა კალენდარულ წელს. მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა დგება მიმდინარე წლის გეგმის დასრულებისას მისი შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით.
სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შედგენისას/ცვლილებების შეტანისას საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ადმინისტრაციის თანამშრომელთა ანგარიშების, პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის, სხვადასხვა კვლევის შედეგების გათვალისწინება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება/ცვლილებები შედის კოლეჯის დირექტორის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთან მათი შეთანხმების შემდეგ.

სამოქმედო გეგმის/სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებენ კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად , სამოქმედო გეგმის მონიტირინგი წელიწადში ორჯერ (6 თვეში ერთხელ და წლის ბოლოს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ასევე, შეფასების შედეგები კოლეჯის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს კოლეჯი იყენებს შემდგომი განვითარებისათვის. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშების გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დადგეს კონკრეტული შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ან მიღებული იქნას წახალისების გადაწყვეტილება განსაკუთრებით კარგად შესრულებული სამუშაოსათვის. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

დაინტერესებული პირების წრესთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით და წარედგინება დირექტორს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ გამართული ანგარიშის წარდგენის ფარგლებში.

აღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგის განხორციელების მიზნით, მათ შორის შუალედური ანგარიშები და მათი განხილვის ოქმი, ასევე ბრძანებები (ბრძანება 21.09.2020 №61), (ბრძანება 01.04.2022 №16), (ბრძანება 26.04.2022 № 21). წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერისა და დირექტორის მოადგილის მიმოწერა მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სწორად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც დაეხმარება ადეკვატური ღონისძიებები განახორციელოს ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის, კერძოდ, დაწესებულებას ძლიერ მხარეებად განსაზღვრული აქვს „ადმინისტრირების გამოცდილება"; „არსებული კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები", "დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება"; ამასთან სუსტ მხარეებში მოცემულია - „პროფესიული განათლების კვალიფიციური, მოტივირებული მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა", „კოლეჯის ადმინისტრირებაში ადამიანური რესურსის ნაკლებობა", "კოლეჯის კურსდამთავრებულების დაბალი ანაზღაურება" ,"სტუდენტთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი" რაც ურთიერთწინააღმდეგობაშია. ამასთანავე, დაწესებულებას შესაძლებლობებში განსაზღვრული აქვს „ დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა", რაც წინააღმდეგობაში მოდის სუსტ მხარეში გასაზღვრული ჩანაწერი, კერძოდ, "სახელმწიფო სუბსიიდიების საკუთარი შემოსავლების სიმწირე".*

2. კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მის შემუშავებაში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის პერსონალი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და მოწვეული სხვა დაინტერესებული მხარეები. დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრულია - აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი.

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი" არეგულირებს დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით ხელი უნდა შეუწყოს კოლეჯის განვითარებას (ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები), ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარებას, პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, პროფესიული სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას, შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით რეგიონის ეკონომიკური განვითარების/სიღარიბის შემცირების ხელშეწყობას და კრიზისულ სიტუაციებში კოლეჯის მოქნილობას. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების (პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ) საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის N25ნ ბრძანების მიხედვით. სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს კოლეჯი სამინისტროს, სააგენტოების, დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტებისა და მათი მშობლების, მთლიანად, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით.

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დასტურდება კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობა, წარმოდგენილია მიმოწერისა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, საზოგადოების გამოხმაურებები და რჩევები, რაც ასახულია კოლეჯის სტრატეგიულ დოკუმენტებში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. კოლეჯის დირექტორის 16 /01/2019 წლის ბრძანებით (ცვლილება - №21 26.04.2022 წ.) დამტკიცებულ სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ 2019 – 2025 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია 7 წლიან პერიოდზე. აღწერილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნები, სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები, ამოცანების შესაბამისი აქტივობები და მათი შესრულების წლები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვისას ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, რეგიონის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებს.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 5 სტრატეგიული მიზანი, მათ შორის: ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება; სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურის განვითარება; ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება; კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა.

კოლეჯის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების შესაბამისადაა წარმოდგენილი სტრატეგიული ამოცანები, ხოლო სტრატეგიული ამოცანების შესრულების მიზნით წარმოდგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

კოლეჯის დირექტორის № 08 31/01/2025 წელს ბრძანებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, ჩართული მხარეები, პასუხისმგებელი პირი, რესურსები, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები,

კოლეჯს ვებგვერდზე განთავსებული აქვს წლიური გეგმების შესულების ანგარიშები (2024, 2023, 2022, 2021, 2020, 2019), წარმოდგენილია ანგარიშების განხილვის დამადასტურებელი სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის № 101 ბრძანებით - სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის №1 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ. №21 26.04.2022 წ.) (სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ 2019 – 2025 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 31იანვრის № 08 ბრძანებით დამტიცებული 2025 სამოქმედო გეგმით
- წლიური გეგმების შესრულების ანგარიშებით (2024, 2023, 2022, 2021, 2020, 2019სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები);

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- ხარისხის მართვის მენეჯერისა და დირექტორის მოადგილის მიმოწერა სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირების მიზნით;
- კოლეჯის პარტნიორების, კერძო და საჯარო სტრუქტურების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა პირთა ჩართულობის დამადასტურებელი მიმოწერებისა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებებით, საზოგადოების გამოხმაურებებით და რჩევებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესში” განსაზღვრულია **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია.** სამოქმედო გეგმის/სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებენ კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი - წელიწადში ორჯერ (6 თვეში ერთხელ და წლის ბოლოს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები კოლეჯის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს კოლეჯი იყენებს შემდგომი განვითარებისათვის. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშების გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დადგეს კონკრეტული შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ან მიღებულ იქნას

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

წახალისების გადაწყვეტილება განსაკუთრებით კარგად შესრულებული სამუშაოსათვის. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებული პირების წრესთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით და წარედგინება დირექტორს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ გამართული ანგარიშის წარდგენის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერისა და დირექტორის მოადგილის მიმოწერა სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილების შედეგად კოლეჯმა გააანალიზა საკუთარი სტრატეგიული დოკუმენტები და მათი გაუმჯობესების მიზნით დაიწყო მუშაობა, რის შედეგადაც მოქმედი სტრატეგიული გეგმა, მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია 2019 წლის იანვარის თვეში, ცვლილება 26.04.2022 წელს .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

2. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუირებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია წლიურ გეგმების შესულების ანგარიშები (2021, 2020, 2019, 2018). ანგარიშები განხილულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე, რის დასტურადაც წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებები (11.02.2022, №1; 27.01.2021, №1; 15.01.2020, ოქმი№1; 30.01.2019, №2); საოქმო გადაწყვეტილებებში ჩანს კოლეჯის მიერ აქტივობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების მიზეზების განხილვისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმებში შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინების ფაქტები.

პერსონალის შეფასების საფუძველზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პერსონალის განვითარებისთვის ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №N04-97 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-17 მუხლით. პერსონალის მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები განსაზღვრულია ზემოაღნიშნული შინაგანაწესის მე-15 და მე-16 მუხლებით. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მექანიზმების პროცედურული დოკუმენტი - კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის 04-88 ბრძანებით.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დირექტორის ბრძანებები პერსონალის სტიმულირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3. კოლეჯის მიერ წლიურ გეგმების შესულების ანგარიშები (2024, 2023, 2022, 2021, 2020, 2019) განხილულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე და დაინტერესებულ მხარეებთან, რის დასტურადაც წარმოდგენილია ოქმები. აღნიშნული სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ცვლილება- 2022 წლის 18 ნოემბრის № 101 ბრძანება - სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი
- კოლეჯის დირექტორის 16 /01/2019 წლის ბრძანებით (ცვლილება - №21 26.04.2022 წ.) დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ 2019 – 2025 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის № 08 31/01/2025 წლის ბრძანებით დამტიცებული სამოქმედო გეგმა - 2025 წელი
- წლიური გეგმების შესულების ანგარიშები (2024, 2023, 2022, 2021, 2020, 2019) სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- სსიპ- კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის ბრძანებით № 67 09 / 07 /2019 წელი შესულია ცვლილება:ბრძანებით N146 27/12/2023 დამტკიცებული „შინაგანაწესი“
- სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის ბრძანებით № 15 06/03/2020 წელი შესულია ცვლილება: ბრძანებით N143 27/12/2023 წლის ბრძანებით № 97 19 /06/2025 წელი - ”ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა “
- კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით;
- კოლეჯის ვებგვერდით - https://opizarivet.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯში „ოპიზარი“ შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესის (დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით № 42 31/05/2019 წელი, ცვლილება- 2019 წლის 31 დეკემბრის № 136 ბრძანება, 2020 წლის 02 ივლისის № 36 ბრძანება , 2020 წლის 25 დეკემბრის № 93 ბრძანება, 2021 წლის 13 ივლისის № 63 ბრძანება, 2022 წლის 21 ოქტომბრის № 75 ბრძანება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება) შესაბამისად, თავი V , მუხლი 20,21,22-ში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის, მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებებთან. ამავე წესში განსაზღვრული რეგულაციები მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან, სწავლის შედეგების დადასტურებასა და კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიული სტუდენტების ინფორმირების, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმებს. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით, რომელიც ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას (კოლეჯში სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის ფუნქციონირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სპეციალური ელექტრონული სისტემა, ხელმისაწვდომია QR კოდის საშუალებით, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას; ამასთანავე გაზიარებულია

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

GOOGLE DRIVE-ის საშუალებით). კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ყოველ დღე გარდა შაბათისა (არსებობს გამონაკლისი შემთხვევები) და კვირისა, ერთ ცვლაში. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონით ,,შრომის კოდექსით'' გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შეთხვევაში (დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაცია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით); დაწესებულება პრაქტიკის დაწყებამდე ორი კვირით ადრე უკავშირდება პარტნიორ ორგანიზაციას/პრაქტიკის ობიექტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის დასაგეგმად. პროფესიული სტუდენტის ლექციიდან/პრაქტიკული მეცადინეობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი წერს განცხადებას დირექტორის სახელზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს აპლიკანტის ჩარიცხვის ეტაპებს საბაზო, საშუალო და უმაღლეს, მათ შორის დუალური და ინტეგრირებული მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (რეგისტრაცია, შერჩევა, შედეგების გამოცხადება და ჩარიცხვა). პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს პროფესიული სტუდენტისგან დროებით (5 წელი) სწავლის შეჩერებას, ხოლო სტატუსის აღდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, რისთვისაც პროფესიულმა სტუდენტმა კოლეჯს განცხადებით უნდა მიმართოს. სტატუს შეჩერებული პირი სწავლას გააგრძელებს იმ ეტაპიდან საიდანაც სტატუსი შეუჩერდა.

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესის (დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით № 42 31/05/2019 წელი, ცვლილება- 2019 წლის 31 დეკემბრის № 136 ბრძანება, 2020 წლის 02 ივლისის № 36 ბრძანება , 2020 წლის 25 დეკემბრის № 93 ბრძანება, 2021 წლის 13 ივლისის № 63 ბრძანება, 2022 წლის 21 ოქტომბრის № 75 ბრძანება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება) შესაბამისად, მუხლი 26-ში თ. ქვეპუნქტით განსაზღვრული იყო სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის საფუძველი წინაპირობის მოდულის არ დადასტურება, რომელიც ექსპერტთა მოსაზრებით იყო სტატუსის შეჩერების და არა სტუდენტთა სტაუსის შეწყვეტის საფუძველი, ამასთანავე უხეში ჩანაწერი და არსებობდა რისკი სტუდენტთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მოსაზრება და ვიზიტის ფარგლებში რეგულაციიდან ამოიღო ეს ჩანაწერი.

კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით არაა განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში პარტნიორის სასწავლო-საწარმოს ინფორმირების საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ დუალური პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების 50% და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ანუ პარტნიორ სასწავლო-საწარმოში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სტუდენტის, ისე პარტნიორი კომპანიის ინტერესებიც.

კოლეჯის რეგულაციები ასევე მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მექანიზმებს. სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, პირადი განცხადება და სხვა გარემოებები.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს როგორც შიდა, ისე გარე მობილობით. მობილობის უფლება აქვს როგორც აქტიური სტატუსის მქონე, ისე სტატუს შეჩერებულ პირს. რეგულაციაში აღწერილია ყველა ის გარემოება, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის მიერ ამ უფლებით სარგებლობა, ან ამ უფლებათა შეზღუდვა. კოლეჯის მიერ გაწერილი მობილობის პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლება, რაც პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას გულისხმობს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მათ შიდა ან გარე მობილობას. რისთვისაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესში განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასების შედეგების ინფორმირების, გასაჩივრებისა და წინაპირობის მქონე მოდულების დადასტურება/არ დადასტურების პირობები, ასევე განმეორებით გამოცდაზე გასვლის პროცედურები, რომელიც არ არღვევს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და გონივრული ვადებია განსაზღვრული .

კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტის ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, რომლის მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა. ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები მოიცავს აღიარების პირობებს, პროცესს, ეტაპებსა და ვადებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

კოლეჯში ფუნქციონირებს დირექტორის ცვლილება-2022 წლის 07 მარტი № 15 ბრძანებით დამტკიცებული **ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი,** რომლის თანახმად, ყველა რეგისტრირებულ მკითხველს შეუძლია წიგნის ან საბიბლიოთეკო რესურსის გატანა, ხოლო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით სარგებლობა - ყველა სტუდენტს. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული რეგულაციითა და ბიბლიოთეკართან იტერვიურებისას დადგინდა, რომ

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მიხედვით, მკითხველს ბიბლიოთეკიდან როგორც გატანა, ასევე ადგილზე უფასოდ დაბეჭდონ ელექტრონული წიგნებიდან/ინტერნეტიდან მათთვის სასურველი ინფორმაცია;

დაწესებულებაში ფუნქციონირებს კოლეჯის **დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის № 83 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის და გაცემის წესი,** რომელიც არეგულირებს კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის მექანიზმებს. კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას პროფესიულ სტუდენტებს სწავლების ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ ასევე კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით, შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, დაწესებულების ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით.

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით არ არის განსაზღვრული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები. რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირთა კოლეჯში ჩარიცხვის პირობები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა რეკომენდებულია:
კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით არაა განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში პარტნიორის სასწავლ-საწარმოს ინფორმირების საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ დუალური პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების 50% და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ანუ პარტნიორ სასწავლო-საწარმოში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სტუდენტის, ისე პარტნიორი კომპანიის ინტერესებიც და დაწესებულებამ დაარეგულიროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირთა კოლეჯში ჩარიცხვის პირობები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში შეხვდა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს. ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. კერძოდ:

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- კოლეჯს მომზადებული აქვს პრეზენტაცია პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ (ხარისხიანი განათლების მიღების, მობილობის წესით სარგებლობის, ფორმალური განათლების აღიარების, შედეგის განმეორებით დადასტურების, მიღებული შედეგების გასაჩივრების, დაწესებულების მატერიალური რესურსებით სარგებლობის შესახებ და სხვა). აღნიშნული პრეზენტაცია პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ სასწავლო პროცესის დაწყებისას;
- კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას პრაქტიკის ობიექტზე სწავლების, ქცევისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე.
- დაწესებულებაში ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლება მოვალეობების დოკუმენტ(ებ)ი, რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტაციასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელები (პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სტუდენტთა სერვისების სპეციალისტი).

ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუირებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს მათ ინფორმირებას უფლება-მოვალეობისა და სერვისების შესახებ, ამასთან ახორციელებს მათი კმაყოფილების კვლევას და ახდენს მათი სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებას, რიგ შემთხვევებში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებული იყო ცალკეული მაგალითებიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმებსაც. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი საჩივარი წარადგინოს დირექტორის სახელზე, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს. საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციებში გაწერილი მექანიზმების შესაბამისად ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების პროცედურებსა და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებსა და პროცედურებს, ინფორმირებულნი არიან შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების თაობაზე, თუმცა მათი თქმით, ამ უფლებით სარგებლობის აუცილებლობა არ დამდგარა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც რეგულირდება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთობები. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: კოლეჯი ვალდებულია მისცეს, ხოლო სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, რაც ამასთანავე კოლეჯის მხრიდან სტუდენტისთვის უსაფრთხო და სათანადო მატერიალური რესურსებით სასწავლო გარემოს შექმნასა და აღჭურვას გულისხმობს. კოლეჯი ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტის შეფასებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული მექანიზმები. სტუდენტი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასევე სტუდენტი ადასტურებს, რომ კოლეჯს აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დავის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
კოლეჯში განსაზღვრულია არასრულწლოვანთან და შშმ პროფესიულ სტუდენტებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მათ შორის გადამოწმდა სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებს.
კოლეჯს ჰყავდა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, რომელთა პირად საქმეებში განთავსებული იყო მშობლების პირადობის მოწმობები და დაბადების მოწმობების ასლები. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმს, რომლის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც რეგულაციის თანახმად ერთთვიანი დაკვირვების შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას ინ. გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, ასევე ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად სსსმ პირების შემთხვევებს უკავშირდება. სადაც ნათლად ჩანს სსსმ სტუდენტისა და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, თუმცა არ ჩანს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა რეგულირების წესში. ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებითა და კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ამ გეგმების შემუშავებისა და განხილვის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაცნობის დასტურად წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რის მიხედვითაც ხელმომწერი ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხების გაცნობის ფაქტს. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია რეგულაციაში აღწეროს სსსმ სტუდენტის ჩართულობის პროცესი და უფრო მკაფიო გახადოს ამ ინდიკატორით მოთხოვნილი წესი

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ- კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის ბრძანებით № 67 09 / 07 /2019 წელი შესულია ცვლილება:ბრძანებით N146 27/12/2023 დამტკიცებული „შინაგანაწესი“
- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის ბოლო ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი"
- სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ დირექტორის ცვლილება- 2024 წლის 01 ივლისის № 72 ბრძანება "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესი"
- კოლეჯის დირექტორის ცვლილება-2022 წლის 07 მარტი № 15 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- 2025 წლის 06 ივნისის № 83 ბრძანებით დამტკიცებული "მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის და გაცემის წესი"

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის ბრძანებით № 15 06/03/2020 წელი შესულია ცვლილება:ბრძანებით N143 27/12/2023 წელი ბრძანებით № 97 19 /06/2025 წელი - ”ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა “
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და გაცნობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით;
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის ბოლო ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებულ “სასწავლო პროცესის რეგულირების წესის” თანახმად, პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. დაწესებულება სისტემატურად ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა სწავლის შედეგების დადასტურებისა და განმეორებითი შეფასების თარიღები, დუალური სწავლების მიზნებისათვის შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდების სპეციფიკასთან დაკავშირებით, პრაქტიკული კომპონენტის დაწყებისა და დასრულების, პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის ბოლო ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებულ “სასწავლო პროცესის რეგულირების წესის” დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალსაზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

კოლეჯის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში. კონსულტირებაში ჩართული არიან ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები.

პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, ასევე სტუდენტური სერვისების სპეციალისტს , რომლებიც აქტიურ დახმარებას უწევენ პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუირების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სტუდენტური სერვისების სპეციალისტი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერები. ისინი პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება-შენახვაზე.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

აღნიშნული პროცესი დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის ბოლო ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის რეგულირების წესის" დოკუმენტით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრებს აორგანიზებს როგორც ახლადჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე უკვე მოქმედ და წინა პერიოდში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან. პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოში ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები აცნობენ სტუდენტებს შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, უსაფრთხოების ნორმებს, როგორც კოლეჯში არსებული სასწავლო გარემოსათვის, ისე პრაქტიკის ობიექტზე.

სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუირების დროს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა და შეხვედრების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების მექანიზმებში გაწერილია პროფესიული სტუდენტისათვის შეთავაზებული მომსახურებებისა და პროცედურების (სარეგისტრაციო, მობილობის, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გასაჩივრების და ა.შ.) რეალისტური ვადები. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს შეუწყოს სტუდენტის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 2 კვირის განმავლობაში.

კოლეჯში წერილობითი კომუნიკაციის საკითხები დარეგულირებულია დირექტორის ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული **საქმისწარმოების წესით,** რომელიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ ღია და თბილი გარემოა. კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ დადასტურდა, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. კოლეჯში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავების, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა დაა სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

დაწესებულებაში მოწყობილია შესაბამისი ახალგაზრდული სივრცე, სადაც დაწესებულების სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტის კოორდინირებითა და ჩართულობით ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროექტები, რომელიც ხაზს უსვამს დაწესებულების ძლიერ მხარეს, ექსტრაკურიკულური ღონისძიებების დაგეგმვას სტუდენტების ჩართულობით და მათი ინიციატივების გათვალისწინებას; სტუდენტური სერვისების სპეციალისტთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს არაფორმალურ აქტივობებს და ამით ხელს უწყობს რეგიონში სოციალური, პიროვნული, გენდერული და ეთნიკური მიმართულებების განვითარებას.

სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნებისათვის დაწესებულება საკუთარი ინიციატივითაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალურ აქტივობათა დაგეგმვა-განხორციელებას, რომელიც გამოიკვეთება შეხვედრების ფარგლებში; ექსპერტებმა დაათვალიერეს შესაბამისი ფოტო/ვიდეო მასალა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთა ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს ფაქტი, რომ ისინი მონაწილეობენ კოლეჯში ორგანიზებულ ღონისძიებებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. კოლეჯი არსებული **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების** მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასებას, მიღებულ შედეგებზე რეაგირებას და ამ შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვას. მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული შიდა და გარე მხარის ჩართულობას (პროფესიული პროფესიულ

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ). პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ სხვადასხვა მიმართულებით ტარდება კმაყოფილების კვლევები. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს ჩატარებული შეფასებების/კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს კმაყოფილების კვლევას კოლეჯის სერვისებთან დაკავშირებით, რომელიც კითხვარების გზით ხორციელდება და მონაწილეობას იღებენ როგორც სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ისე დამსაქმებლები. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუს შედეგებითაც დადასტურდა.

კოლეჯის **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების** დამტკიცებულია ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები, განხორციელებული კმაყოფილების კვლევის ანგარიშები, დასკვნები და რეკომენდაციები. კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების შედეგებს ითვალისწინებს შემდგომ საქმიანობაში.

აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შეფასებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის ბოლო ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი"
- კოლეჯის დირექტორის ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის კითხვარები, ანგარიშები და რეკომენდაციები, მათი შესრულების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტები და მათი მხარდაჭერის მტკიცებულებები;
- ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელების მტკიცებულებებით და ფოტო მასალებით;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- კოლეჯის ბიუჯეტით და წლიური სამოქმედო გეგმით;
- სხვადასხვა ღონისძიებების ამსახველი მასალებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედი „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი" დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბრის №142 ბრძანებით , ითვალისწინებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობას არსებული და პოტენციურ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. პროფორიენტაციის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები (ღია კარის დღე, ფორუმი, სკოლებში ვიზიტი და სხვა), სადაც პოტენციურ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ კოლეჯში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებს, დასაქმების შესაძლებლობებს, მიიღონ ინფორმაცია პოტენციური დამსაქმებლების შესახებ.

პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რომელიც აქტიურ დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კოლეჯში დასაქმებულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც კარიერულ და პროფესიულ მხარდაჭერას უწევს აპლიკანტებს, პროფესიულ სტუდენტებს, დაინტერესებულ პირებს. მას მუდმივი კავშირი აქვს ეკონომიკურ აგენტებთან, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას ვაკანტური ადგილებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ კურსდამთავრებულებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუირებისას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა დეტალურად აღწერა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, ისაუბრა მოზარდთა სწორი პროფორიენტაციის მნიშვნელობაზე, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ღონისძიებების თავისებურებებზე, კოლეჯის მიდგომებსა და მის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე, რაც გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებებით და წარმოდგენილია ექსპერტთა ჯგუფისათვის.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შეფასებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას, რომლის დროსაც პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ცალკეულ აქტივობებში მონაწილეობა, კოლეჯიდან პერმანენტულად ვაკანსიების მიღება. ამასთან აღნიშნეს, რომ კოლეჯის პერსონალი პერიოდულად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯში შექმნილია დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზები. ბაზების შექმნაზე და მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი ელექტრონული საინფორმაციო მართვის სისტემების სპეციალისტის ჩართულობით. კოლეჯის წარმომადგენლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრებს, ღია კარის დღეებს, ახდენენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას.

კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია facebook ჯგუფი, სადაც რეგულარულად იდება ვაკანსიები და სიახლეები დასაქმებასთან დაკავშირებით. ვაკანსიები ქვეყნდება, ასევე, კოლეჯის Facebook გვერდზეც და თავსდება თვალსაჩინო ადგილას, განცხადებების დაფაზეც.

კარიერული განვითარების მიზნით, კოლეჯი, ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა კურსების, კონფერენციების პროფესიული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. კურსდამთავრებულთა და პროფესიული სტუდენტების დასაქმების კვლევის კითხვარი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოლეჯის როლი მათ დასაქმებაში, სწავლის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის შესახებ და სხვა.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების მონაწილეობით მართავენ შეხვედრებს დასაქმებასთან დაკავშირებით, სოციალური ქსელების ჯგუფებსა და ვებგვერდზე ათავსებს ვაკანსიებს.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის პროფესიით დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები, რომელიც ასევე მოიცავს კითხვებს კოლეჯში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის შეფასების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4. ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია კარიერული მომსახურეობის კვლევა. ამ მიზნის განსახორციელებლად, კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. აღნიშნული გზით კოლეჯი ეცნობა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, იღებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, საჭიროების შემთხვევაში გადის პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მუშავდება და იქმნება კურდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა. კოლეჯში არის სტუდენტების, დამსაქმებლებისა და
კურსდამთავრებულების ბაზები, რომელსაც მართავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის ბოლო ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი"
- კოლეჯის დირექტორის ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი" დამტკიცებული ბრძანებით N142 27/12/2023
- პროფესიული სტუდენტების შეხვედრებისა და კონსულტირების დამადასტურებელი მასალებით;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზებით;
- პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის დოკუმენტებით, ანგარიშებით და რეკომენდაციებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის ბრძანებით დამტკიცებულია ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაგან (შტატგარეშე თანამშრომლებისაგან - ასეთის არსებობის შემთხვევაში). კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად, დირექტორის

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ბრძანებით დამტკიცებულია საშტატო ნუსხა. ზემოაღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო ნუსხა ქმნის წარმოდგენას დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული და საშტატო ერთეულების შესახებ.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც ადგენს არსებული პოზიციების დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, განსაზღვრავს თანამშრომლის ან კანდიდატის კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების წესს. წინამდებარე წესის შესაბამისად, პერსონალის სამსახურში მიღებისათვის დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიზანია კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასება. თითოეული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მის მიერ დასაკავებელი თანამდებობისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალთან, რომელიც სამუშაოდ მიიღება დროებით განსაზღვრული ვადით, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, შრომითი ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით. დოკუმენტში კონკრეტული პოზიციისთვის გაწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირის კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების, პიროვნული თვისებების, ტრანსფერული უნარების ფლობისა და ნორმატიული აქტების ცოდნის შესახებ. დოკუმენტში ასევე აღწერილია მათი უფლებამოსილება, დაქვემდებარებული პერსონალი, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა თითოეული თანამდებობისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები და შეფასდა მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 სრულადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

2. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები, დოკუმენტით რეგულირდება დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისა და დამხმარე თანამშრომლის ფუნქციები და უფლებამოსილებები, ასევე მათი ანგარიშვალდებულების კომპონენტი. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები თანხვედრაშია ერთწლიან სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში პასუხისმგებელი პირების მიერ განსახორციელებელ აქტივობებთან.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები - დოკუმენტის თანახმად, ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობებია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის განსაზღვრა, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების დინამიკის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეფასების საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების პროცესის მართვა, ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროცესში საჭირო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების იდენტიფიცირება, მათი შეგროვება და ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე ანგარიშების მომზადება. აღნიშნულ პროცესებში აქტიური თანამონაწილეა ხარისხის მართვის სპეციალისტიც.

დაწესებულებაში შემუშავებულია და მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლის მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის მართვის მენეჯერი საქმიანობას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტის, პრაქტიკის მენეჯერის, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით.

ხარისხის მართვის მენეჯერს შემუშავებული აქვს ასევე სამოქმედო გეგმაც, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედებას. გეგმის მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგს და ადგენს პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 სრულადაა დაკმაყოფილებული, ***მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- კოლეჯის დირექტორის N143 27/12/2023 ბრძანებით (ცვლილება - ბრძანებით № 97 19 /06/2025წელი) დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები
- სსიპ- კოლეჯ ,,ოპიზარის" დირექტორის № 67 ბრძანებით (შესულია ცვლილება:ბრძანებით N146 27/12/2023) დამტკიცებული „შინაგანაწესი"
- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" დირექტორის № 96 ბრძანება "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი"
- კოლეჯის დირექტორის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით";
- კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურით;
- ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით და გეგმის შესრულების ანგარიშით;
- პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები და კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 9 ივლისის №67 ბრძანებით (ცვლილება ბრძანება №146, 27/12/2023) დამტკიცებული „შინაგანაწესი" განსაზღრავს სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკასა და ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან ადამიანური რესურსების მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანას. კოლეჯის ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი მიმართულებაა კვალიფიციური პერსონალის - პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის სხვა

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

თანამშრომლების მოზიდვა, საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და მათი განვითარების მექანიზმების ამუშავება. რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება თანასწორობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის პრინციპებს და შესაბამისობაშია შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებთან. კოლეჯის ყველა თანამდებობისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა. სამუშაო აღწერილობები წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელზე ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თანხმობას შეასრულოს ის ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სამუშაო აღწერილობების სანიმუშოდ ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული შესაბამისი ზომების - წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, პერსონალის მართვის პროცესები დაწესებულებაში ხორციელდება დაწესებულებაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად. შინაგანაწესის დებულებების დარღვევა, კოლეჯში დასაქმებულ პირთათვის, წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების დარღვევას, რომელსაც მოჰყვება შრომითი ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

კოლეჯში პერსონალის აყვანა შესაძლებელია როგორც კონკურსის, ისე პირდაპირი დანიშვნის გზით. პერსონალის აყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალის სამსახურში აყვანის დოკუმენტაცია და დირექტორის ბრძანებები პერსონალის დანიშვნის შესახებ.

შინაგანაწესითა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, შვებულების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, კმაყოფილების კვლევისა და პერსონალის განვითარების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

კოლეჯის შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული კოლეჯის მიდგომები, სამუშაო დრო და სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო, სამსახურში გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები, შვებულება და უქმე დღეები, მივლინებები, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური მექანიზმების გამოყენების წესები, შრომის უსაფრთხოების, საქმიანობის შეფასებისა და სხვა საკითხები. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

კოლეჯის შინაგანაწესი არის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და პერსონალი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება შინაგანაწესის დებულებებს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია შინაგანაწესით, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

დაწესებულებაში წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რომელთა შედეგების ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ დაწესებულება იცავს დასაქმებულ პირთა უფლებებს.

აღნიშნული ასევე დადასტურებელია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუირებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პერსონალის მოზიდვის მიზნით, კოლეჯი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კომპანიებთან და შეიმუშავებს ამ მიმართულებით თანამშრომლობის ე. წ. ადამიანური რესურსების გაცვლის მოქნილ და ეფექტურ მექანიზმებს, აქტიურად იყენებს კოლეჯში დასაქმებული პერსონალის სოციალურ კაპიტალს ახალი პერსონალის მოსაზიდად, განათავსებს ვაკანსიებს დასაქმების სხვადასხვა ვებ-პორტალებსა და სოციალურ ქსელებში, მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში.

კოლეჯში პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში - მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით. შერჩევის წესს, ფორმას და პირობებს (რომელიც ასევე მოიცავს საჭიროებისამებრ, შერჩევის კომისიის განსაზღვრას) ვაკანსიის გამოცხადებამდე, სამუშაო ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. პერსონალის შერჩევის წესი, ფორმა და პირობები აისახება ვაკანსიის შესახებ განაცხადში._შრომით ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახით ან/და ფორმით დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით. კოლეჯში არსებული რეგულაციების თანახმად, კანდიდატების შერჩევა ხდება ვაკანტური პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. კანდიდატთა შეფასების ინსტრუმენტები, ისევე როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შერჩევის ეტაპები, შეიძლება განსხვავდებოდეს დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკის, მასწავლებლის შემთხვევაში მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით. პერსონალის შერჩევა შესაძლოა განხორციელდეს გამარტივებული წესითაც.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულება ვაკანსიის განცხადებაში განათავსებს ინფორმაციას ვაკანტური პოზიციაზე შესასრულებელი ფუნქციების, აპლიკანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პიროვნული და პროფესიული უნარების ფლობის, კონკურსის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ. შერჩევა შესაძლებელია ითვალისწინებდეს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევისა და გასაუბრების ეტაპებს. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც პირისპირ, ისე დისტანციურ რეჟიმში. საკონკურსო კომისია შერჩევის ეტაპების დასრულების შემდეგ, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც ეცნობება აპლიკანტს დაწესებულების მიერ რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში. წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ კოლეჯი არსებული რეგულაციების დაცვით ახდენს პერსონალის შერჩევის პროცედურებს.

კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით ასევე გამოიკვეთა, რომ გარდა პერსონალის კონკურსის წესით შერჩევისას, კოლეჯი იყენებს უკვე დასაქმებული პერსონალის რესურსებს ადამიანური რესურსების მოსაზიდად, რომელთაც შესაძლოა სათანადო რეკომენდაცია გაუწიონ კონკრეტულ პირს, რომელთანაც კოლეჯის დირექტორი ახდენს გასაუბრებას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. პერსონალის შერჩევისას დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს პირის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით და ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ არსებით პირობებს: მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო და დასვენების დრო, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულებების მიცემის წესი. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესში გაწერილია კონკრეტული პირობები, თუ როგორ მოახდენს დაწესებულება ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას.

პერსონალის პირადი საქმეებში განთავსებულია განათლების, სამუშაო გამოცდილების, დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV, არსებობის შემთხვევაში სათანადო სერთიფიკატები, შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობები უფლების ჩამორთმევის, ნასამართლეობის არქონისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. კოლეჯის დირექტორის N143 27/12/2023 ბრძანებით, ცვლილება - ბრძანებით № 97 19 /06/2025წელი დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კოლეჯში ვიზიტის ყოფნისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, შესწავლილ იქნა საკვალიფიკაციო დოკუმენტის მოთხოვნებთან დასაქმებული პერსონალის პირადი საქმე, რა დროსაც არ გამოკვეთილა რაიმე ტიპის შეუსაბამობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 სრულადაა დაკმაყოფილებული.

4. კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის ჩართულობას და მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სასწავლო რესურსების შემუშავება, პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტების დაგეგმვა, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა, სხვადასხვა კონკურსებში, გამოფენებსა და კონფერენციებში სასწავლებლის წარდგენა, ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და სასწავლო რესურსების განახლება და ა.შ.

კოლეჯის პერსონალთან შეხვედრითა და შესწავლილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ პერსონალის სხვადასხვა წარმომადგენლები გუნდურად არიან ჩართული სხვადასხვა აქტივობაში, სათანადო საჭიროების მიხედვით, მაგალითად, პროგრამების შემუშავებაში, საკონკურსო თუ საკვალიფიკაციო კომისიებში და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებული დოკუმენტით „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები;
- სსიპ- კოლეჯ ,,ოპიზარის" დირექტორის 2019 წლის 9 ივლისის №67 ბრძანებით (ცვლილება ბრძანება №146, 27/12/2023) დამტკიცებული „შინაგანაწესით"
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაციით;
- პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მათ შორის ტრენგებისა და შეხვედრების დამადასტურებელი მასალებით;
- პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" , სადაც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რაც გამოიხატება პერსონალის საქმიანობის შეფასებით კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების ინდიკატორების საშუალებით. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭირვალე მექანიზმების შემუშავება.

პერსონალის შეფასებისთვის კოლეჯს განსაზღვრული აქვს სხვადასხვა მეთოდები (მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ). შეფასების პროცესის კოორდინირება უნდა განახორციელოს კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა შეფასების ჯგუფმა.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“; რომლის თანახმად, შეფასების მიზანია კოლეჯში დასაქმებული პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, განვითარების საჭიროებისა და წინაპირობების დადგენა, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. არსებული პრობლემების განსაზღვრა, თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა, მიღწევების აღრიცხვა, შეჯერება და დაფასება, მომავალი სამუშაო გეგმებისა და მიზნების ორმხრივად ჩამოყალიბება და შეთანხმება, იმ საჭიროებების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებით სწავლებისა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავება, თანამშრომლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვაგვარი ზომების მიღება (წახალისებისა თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით). დოკუმენტის მიხედვით, შეფასებაში შემფასებლის რანგში მონაწილეობს როგორც შესაფასებელი პირის უშუალო ხელმძღვანელი, ისე შეფასებაში ჩართული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირები/კომისიის წევრები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 არის დაკმაყოფილებული, კოლეჯს განხორციელებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.

2. კოლეჯის დირექტორის N143 27/12/2023 ბრძანებით, ცვლილება - ბრძანებით № 97 19 /06/2025წელი დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა” თანახმად, პერსონალის შეფასების საფუძველზე მასწავლებლისა და ადმინისტრაციის პერსონალის განვითარებისისთვის ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი. პერსონალის განვითარება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს: კვალიფიკაციის ტრენინგი, სასწავლო კურსი, დარგობრივი უნარების განვითარების მიზნით საწარმოში ვიზიტები, კონფერენციებსა და გამოფენებში მონაწილეობა და სხვა. დაწესებულება ატარებს პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევას, სადაც ირკვევა, რომ პერსონალის მხრიდან არის მოთხოვნა სხვადასხვა უნარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და საჭიროა მათი გადამზადება.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ხარისხის სამოქმედო გეგმის ფარგლებში პერიოდულად ატარებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას, რის დასტურადაც წარმოდგენილია გამოკითხვის მასალები და ანალიზის დოკუმენტები.

ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი პერიოდულად ატარებს მათ გამოკითხვას ელექტრონული კითხვარების მეშვეობით.

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია პერსონალის ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები და პერსონალის განვითარების გეგმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულია დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასებისთვის კოლეჯი იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: თვითშეფასება - რომელიც დაეფუძნება პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და შეფასების კრიტერიუმებს; მეორადი მონაცემების ანალიზი, როგორიცაა, სტუდენტებისგან /მსმენელებისგან/ კოლეგებისგან მიღებული უკუკავშირი და სხვა დოკუმენტები, მასწავლებლის პრაქტიკაზე დაკვირვება. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლას, რაც სხვადასხვა ტიპის ჩატარებულ ტრენინგებსა და მასტერკლასებში გამოიხატება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს უნარების სააგენტოსთან, პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია პერსონალის ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტრენინგზე დასწრების ფურცლები, ტრენინგის საკითხები და სხვა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კოლეჯში ყველა შერჩეული კანდიდატი ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით ეცნობა მისთვის დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, მოქმედ შინაგანაწესს, კოლეჯის ორგანიზაციულ კულტურას და ტრადიციებს, რაც ეხმარება ახალ თანამშრომელს ადაპტაციაში.
პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ კანდიდატებს, რომელსაც არ აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, უტარდება შესაბამისი ტრენინგი/ინსტრუქტაჟი. ასეთი კანდიდატები, დასაქმების მომენტიდან პროფესიული განათლების მასწავლებლის კარიერის საწყის ეტაპზე, მხარდაჭერას შეიძლება იღებდნენ გამოცდილი მასწავლებლებისაგან, ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელისაგან.

კოლეჯში პერსონალის ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025)დამტკიცებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა"

აღნიშნული ფაქტის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელთაც დაადასტურეს სამსახურში მიღებისას კოლეჯის მიერ განხორციელებული მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობა.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. პერსონალის მოტივაციის ზრდის მექანიზმებად კოლეჯი მოიაზრებს შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას, კვალიფიკაციის და დამატებით შრომითი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით ფინანსურ წახალისებას, დაწინაურებას, თანამდებობრივი წინსვლის მექანიზმებს და სხვა. მოტივაციის ზრდის მექანიზმების შემუშავება უწყვეტი პროცესია და ეფუძნება პერსონალის კმაყოფილების კითხვარისა და ინტერვიუების შედეგებს.

კოლეჯში პერსონალის მოტივაციის მექანიზმები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" და დირექტორის 2019 წლის 9 ილისის №67 ბრძანებით (ცვლილება ბრძანება №146, 27/12/2023) დამტკიცებულ „შინაგანაწესში".

პერსონალთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მოტივაციის გაზრდისა და წახალისების მიზნით, არსებობს დასაქმებული პერსონალის როტაციის პრაქტიკა. კოლეჯის დასაქმებულთაგან რამდენიმე პირი სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა. დაწესებულებაში ასევე არსებობს ფინანსური წახალისების პრაქტიკა პრემიის გაცემის გზით, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც დადასტურდა.

კოლეჯში პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერასთან დაკავშირებული მიზნობრივი კითხვების დასმის გზით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯის მიდგომები, რაც პერსონალის მხრიდან დადებითად იქნა შეფასებულია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №143 ბრძანებით, (ცვლილება ბრძანება №97, 19/06/2025) დამტკიცებულია დოკუმენტით „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დანართით - სამუშაოს აღწერა და ფუნქცია-მოვალეობები;
- სსიპ - კოლეჯ ,,ოპიზარის" დირექტორის № 67 ბრძანებით (ცვლილება:ბრძანებით N146 27/12/2023) დამტკიცებული „შინაგანაწესით";
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაციით;
- პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მათ შორის ტრენინგებისა და შეხვედრების დამადასტურებელი მასალებით;
- პერსონალთან ინტერვიუირების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

სსიპ კოლეჯ "ოპიზარის" მფლობელობაში არსებული უძრავი ქონებით უზრუნველყოფს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის.

კოლეჯის მფლობელობაშია ქ. ახალციხეში შოთა რუსთაველის N 111-ში 26497 $მ^2$ ფართობზე განლაგებული შენობა-ნაგებობები 3062,87 $მ^2$, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზები. დაწესებულების დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ წარმოდგენილ სივრცეში განთავსებულია ფოიე, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის სამუშაო სივრცე, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/სამკითხველო, FAB LAB, პროფესიული სტუდენტებისათვის რეკრიაციული სივრცე, სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის, სასაწყობო ფართი, თეორიული სწავლების აუდიტორიები - A გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები B გარემო, პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები C გარემო.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის სასწავლო, სამუშაო და საერთო სივრცეები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით. ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

მატერიალური რესურსების მართვა/შეფასება კოლეჯში რეგულარულად ხორციელდება 2025 წლის 06 ივნისის №83 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციით „მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის და გაცემის წესი“.

კოლეჯის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის პარალელურად, დათვალიერებულ იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

- **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის № 42 31/05/2019 წ. ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება) დამუშავებული რეგულაციის ,,სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ 21 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

რომლის თანახმად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკა, სახელოსნო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დაუბრკოლებლადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული რეგულაცია და განხორციელდა ინტერვიუები პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის.

- **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ შიდა და გარე სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას ემსახურებიან დამლაგებლები და მეეზოვე. აღნიშნულ პირებს, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და სამუშაო აღწერილობის მიხედვით, ევალებათ კოლეჯის შესაბამისი სივრცეების დასუფთავება. დამლაგებლების/მეეზოვის მიერ მოვალეობის ჯეროვნად შესრულებასა და კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი.
დაწესებულებაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე მოქმედებს სანიტარულ-ჰიგიენური კომისია, რომელიც თავის მხრივ აწარმოებს ჩანაწერებს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ.
დათვალიერების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით კოლეჯის შესაბამისი სივრცეები მოწესრიგებულია. სველი წერტილები მარაგდება წყლით, დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია წყალმომარაგების საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

- **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ შენობებში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება, კოლეჯის საკუთრებაშია ცენტრალური გათბობის სისტემის საქვაბე და სხვა აღჭურვილობა, რომელთა ფუნქციონირება დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, გაზის შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით. შესაბამისად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემები.

- **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;**

პსდ-ს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილი აქვს შესაბამის რეგულაციაში ,,შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №18 ბრძანებით.
კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში შრომის უსაფრთხოებას. მასთან გასაუბრებით და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახანძრო უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა კოლეჯის

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას, ხოლო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ხორციელდება შესაბამისი აქტივობები, რომელიც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით, ხელმოწერების ჟურნალებითა და ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

- **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის № 42 31/05/2019 წ. ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება) დამუშავებული რეგულაციის ,,სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ 37 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის წესი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით შესაბამისი პირი (პროგრამის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი) შესყიდვების სპეციალისტს გადასცემს წერილობით მოთხოვნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალა-ნედლეულის თაობაზე. აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება, აღრიცხვა, ჩამოწერა, ანგარიშგება, ინსპექტირება და უტილიზაცია.

აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა, ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მასალა-ნედლეულის უწყვეტი მიწოდებით.

- **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**

კოლეჯის დირექტორის 06/03/2020 წლის №15 ბრძანებით (ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის №146 ბრძანებით) დამტკიცებულია რეგულაცია "სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპებს, მათ შორის მატერიალური რესურსების შეფასების მიმართულებით. წარმოდგენილი რეგულაცია მოიცავს პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების კითხვარებს მატერიალური რესურსის საკმარისობის და შესაბამისობის შეფასების მიზნით. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩატარდა გასაუბრება ხარისხის მართვის მენეჯერთან, რომელმაც განმარტა რომ გარდა გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციისა რესურსების საკმარისობასთან და განვითარებასთან დაკავშირებით, პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს რესურსების რეგულარულ შეფასებას მოდულების მიხედვით და გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების შევსება მათთან კოორდინაციით.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

რესურსების შეფასების მიზნით გამოიყენება აგრეთვე ყოველწლიური ინვენტარიზაციის შედეგებიც, რომელიც წარმოდგენილი აქვს კოლეჯს რეავტორიზაციის განაცხადთან ერთად. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით მატერიალური რესურსების განკარგვის წესის დაცვით ხორციელდება დაზიანებული რესურსების ჩამოწერა და განახლების დაგეგმვა.

- **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ შენობა-ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის შენობებში განთავსებულია ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით, აქვს ვენტილაციის საშუალება, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. კოლეჯის ყველა სველ წერტილში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, განთავსებულია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელის ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერები, სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

- **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

დაწესებულების შენობა-ნაგებობებში არსებულ სასწავლო აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკას, ასევე ადმინისტრაციულ ფართსა და საერთო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის სივრცეში მოწყობილია სამკითხველო. განათება უზრუნველყოფს შრომის და სწავლის შესაბამის, უსაფრთხო პირობებს.

- **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ შენობა-ნაგებობებში არსებული სამუშაო, სასწავლო და მოსასვენებელი, აგრეთვე დამხმარე დანიშნულების სივრცეები გამიჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულების შენობებში გვხვდება ე.წ. ,,კორიდორული“ სისტემის დაგეგმვა, რაც გამორიცხავს ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეების არსებობას. კოლეჯის ძირითად სასწავლო კორპუსში დამონტაჟებულია ლიფტი. სასაწყობო სივრცე მოწყობილია შენობის სარდაფში, რომელსაც აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობაც, ასევე გვხვდება საწყობი სასწავლო დანიშნულების სახელოსნოების შენობაშიც. საარქივო დოკუმენტებისთვის გამოყოფილია ცალკე ოთახი.

- **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

დაწესებულებაში ბიბლიოთეკა განთავსებულია კოლეჯის შენობის პირველ სართულზე, იგი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოკრულია დირექტორის № 26 19.04.2019 წლის ბრძანებით (ცვლილება-2022 წლის 07 მარტი № 15 ბრძანება) დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“ და დირექტორის № 26 19.04.2019 წლის ბრძანებით (ცვლილება-2022 წლის 07 მარტი № 15 ბრძანება) დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.

კოლეჯს შესყიდული აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემა OPAC. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა საგანმანათლებლო რესურსები, კატალოგები, ჟურნალები, ელექტრონული ვერსიები და დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკარი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულებას ბიბლიოთეკის ელექტრული ფორმით წვდომის მიზნით 2025 წლის 21 თებერვალს გაფორმებული აქვს ა(ა)იპ „ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების ფონდთან“ ხელშეკრულება N-25/04 -19, რომელიც ითვალისწინებს შემსრულებლის სერვერზე დამკვეთის კოლეჯის საბიბლიოთეკო სისტემისთვის „OpenBiblio“ სივრცის გამოყოფას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის აქტებით;
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებით და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ,,სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტებით;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით მატერიალური რესურსების და მასალების შესყიდვების დოკუმენტაციით;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგებით;
- კოლეჯის შენობა/ნაგებობების აზომვითი ნახაზებით;
- ცენტრალური გათბობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით - საგადახდო დავალებებით, ქვითრებით;
- კოლეჯის ,,შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით“;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შრომითი ხელშეკრულებით და სერტიფიკატით;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების ამსახველი მტკიცებულებით;
- „მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის და გაცემის წესით“;
- შესყიდვების სპეციალისტის, ლოგისტიკის და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობებით;
- სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- "სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაციით;
- კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ხელშეკრულებით №-25/04 -19;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობა მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2023 წლის 21 თებერვლის MIA 1 23 00508891 წერილისა და მასზე თანდართული სახანძრო უსაფრთოხების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის №30 საფუძველზე, დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, რაც შეეხება შენობა-ნაგებობების მდგრადობის საკითხს, შპს ,,ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“ Aტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შენობა შემდგომი ექსპლუატაციისთვის უსაფრთხოა. საევაკუაციო გეგმის შემუშავების მიზნით დაწესებულებამ ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან (დეპარტამენტი)“ (ს/კ 202191289) 2019 წლის 8 მაისის № N-C17/05 გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, საევაკუაციო გეგმები დაწესებულების შენობის ყველა სართულზე გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია რეგულაცია ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. კოლეჯში მოწყობილია სათანადოდ აღჭურვილი პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, ხოლო მედდის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად გათვალისწინებულია შესაბამისი კომპეტენციის მედდა. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები, მედდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობა, ვიზუალურად იქნა დათვალიერებული პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტის მუშაობის და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალები.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 02 აპრილის N 38 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 03/04/2025 № MIA 6 25 01004388 წერილით. საგანგებო მართვის გეგმა მოიცავს კოლეჯის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობებში საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს, გეგმაში გაწერილია საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები, ძირითადი საფრთხეები და მოსალოდნელი რისკები, ასევე, საგანგებო სიტუაციის ძირითადი სცენარები. კოლეჯის პასუხისმგებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალი ინფორმირებულია საგანგებო სიტუაციის შესაძლო წარმოშობის და მასზე რეაგირების ძირითად საშუალებებსა და ფორმებზე. კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია კოლეჯში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფა. ვიზუალური შეფასებით დადგინდა სახანძრო უსაფრთხოების მართვის სისტემის ძირითადი ელემენტების არსებობა და მათი მონიტორინგის ცენტრის გამართული ფუნქციონირება.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის № 56 13/06/2019 წლის (ცვლილება: ბრძანებით N15 07/03/2022 წელი) ბრძანებით დამტკიცებული ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“, აღნიშნული რეგულაციის და კოლეჯის საშტატო ნუსხით განსაზღვრული სამუშაო აღწერილობის შესაბამისად დაწესებულების მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯები. სასწავლო კორპუსი, სახელოსნოები და მიმდებარე ტერიტორია კონტროლდება ვიდეო კამერების მეშვეობით, რომელიც ადმინისტრირდება კოლეჯის შენობის დაცვის ოთახიდან. აქედანვე ხორციელდება გამაფრთხილებელი ხმოვანი შეტყობინება საგანგებო მდგომარეობის დროს. საჭიროების შემთხვევაში, დაცვის ოთახიდანაა შესაძლებელი კომუნიკაციის დამყარება სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალები;
- მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაოს აღწერილობა;
- სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის №30;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანგებო მართვის გეგმა“;
- კოლეჯის ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების ვიზუალური შემოწმება;
- მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;
- დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმის წარმოების ოპტიმალურ დონეზე წარმართვის მიზნით იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და შესაბამის ინფრასტრუქტურას. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტურად მართვის წესი. სამუშაო და სასწავლო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე და საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები სარგებლობენ სამუშაო აღწერილობის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, ხოლო პროგრამის განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და მოთხოვნილების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და საჭირო დამატებითი მოწყობილობებით, გამომდინარე აქედან კოლეჯში უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული საქმის წარმოების და მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვა IT ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით. კოლეჯის სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეებში ხელმისაწვდომია უსადენო და სადენით აღჭურვილი ინტერნეტით. დაწესებულებას ინტერნეტის შეუფერხებლად მიღებისა და გამოყენების მიზნით გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება 2 წლის ვადით ინტერნეტ-პროვაიდერთან - შპს ,,მაგთიკომი“, 2024 წლის 19 დეკემბერს. კოლეჯს დომენის opizarivet.ge რეგისტრაციის და ფუნქციონირებისთვის გაფორმებული აქვს მომსახურების გაწევის ხელშეკრულება შშ ,,პროსერვისთან“ 2024 წლის 24 მაისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 1 წელი და გრძელდება ავტომატურად თუ რომელიმე მხარე არ გამოთქვამს სურვილს მისი გაუქმების შესახებ.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტურად მართვის წესი. დოკუმენტის თანახმად, კომპიუტერული ტექნიკის გამართულობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე და არსებული პრობლემების დროულ მოგვარებაზე, ქსელის გამართვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელ პირად განსაზღვრულია IT სპეციალისტი, რაც თანხვედრაშია მის სამუშაო აღწერილობასთანპასუხისმგებელ პირთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ IT რისკების მართვის პოლიტიკის საშუალებით ნამდვილად ხდება დადგენილი წესების განხორციელება და მონიტორინგი, კერძოდ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის მიერ კომპიუტერული ქსელის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად, ყველა კრიტიკული სისტემის, აპლიკაციისა და ძირითადი მონაცემის სარეზერვო ასლების აღება ხდება პერმანენტულად, ინტერნეტის ქსელში ჩართული ყველა კომოპიუტერი დაცულია ანტივირუსული მოქმედების პროგრამით ხოლო უსადენო ინტერნეტის წყარო დაშიფრულია. IT

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმის შემოწმებისა და გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას ნამდვილად ჰყავს მაღალკვალიფიციური ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც უზრუნველყო საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

კოლეჯში უზრუნველყოფილია პერსონალის და სტუდენტების პერსონალურ მონაცემთა დაცვა სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის" დირექტორის 06/03/2020 წლის ბრძანებით № 15 (ცვლილება, ბრძანება N142 27/12/2023 წელი) ,,სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის'' პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი". აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად ხორციელდება პერსონალური მონაცემების დამუშავება; პერსონალურ მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მოქმედი წესის შესაბამისად კოლეჯის თანამშრომლებს აქვთ ვალდებულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით. IT სპეციალისტი ახორციელებს თანამშრომელთა ტრენინგს მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების კუთხით კოლეჯის მიერ მოპოვებულია წერილობითი თანხმობა და ინახება მათ პირად საქმეში. გასაუბრების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები და თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ კოლეჯის მხრიდან პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის - ფოტო, ვიდეო მასალის, პერსონალური მიღწევების, შემოქმედებითი ნამუშევრის და სხვა გასაჯაროება მათი თანხმობის გარეშე არ ხდება. რაც შეეხება პერსონალირ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობას, კოლეჯის დირექტორის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაგზავნილია წერილი MES 6 24 0001231855 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, დამატებას მოთხოვნის შესახებ. ამ ეტაპზე ირკვევა, რომ კოლეჯს არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტურად მართვის წესი. დოკუმენტის თანახმად, კომპიუტერული ტექნიკის გამართულობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე და არსებული პრობლემების დროულ მოგვარებაზე, ქსელის გამართვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელ პირად განსაზღვრულია IT სპეციალისტი. აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხისმგებელ პირთან ჩატარდა გასაუბრება და დასტურდება, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს და მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, ან შესაბამისი პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით № 67 09 / 07 /2019 წელი (ცვლილება N146 27/12/2023 წელი) დამტკიცებული რეგულაციის ,,შრომის შინაგანაწესი" მე-5 მუხლის შესაბამისად დასაქმებული კოლეჯის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე წვდომის

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

უფლებით, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე თავისუფალი წვდომა გარანტირებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის № 42 31/05/2019 წ. ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანება) დამუშავებული რეგულაციის ,,სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ 21 მუხლის შესაბამისად. სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის მოთხოვნის შესაბამისად.

6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კოლეჯში ადმინისტრაციის, პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა EFLOW. ხოლო სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ვებ-გვერდის, სოციალური ქსელების და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. კოლეჯში ლოკალურ დონეზე (ჯგუფების/ერთი ჯგუფის მასშტაბით) საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე მობილური საკომუნიკაციო ელექტრონული პლატფორმების (Messenger, whatsapp, viber და სხვა) გამოყენება ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლის მიზნით. დამატებით სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით კოლეჯში დანერგილია Office 365-ის პლატფორმა, როგორც თანამშრომლებისათვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტურად მართვის წესით;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- დომენით სარგებლობის ხელშეკრულებით;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ,,სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის ,,შრომის შინაგანაწესით“;
- ,,სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“;
- ,,სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის'' პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესით“.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ საქმისწარმოებას ახორციელებს დაწესებულების დირექტორის № 26 19.04.2019წ ბრძანებით (ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 144 ბრძანება) რეგულაციით ,,სსიპ –კოლეჯ „ოპიზარის“ საქმისწარმოების წესი“, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განსაზღვრულია საქმისწარმოების ძირითადი საკითხები, საქმისწარმოების ფორმები, წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, განსაზღვრულია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესი, ვადები, კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და გადაგზავნის პირობები, დოკუმენტის შედგენისა და გაფორმების მოთხოვნები, ბეჭდის გამოყენებაზე და ბრძანების მომზადების უფლებამოსილების მქონე პირები, ბრძანების ფორმალური მხარე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა გასაუბრება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით და შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ მიმდინარე ადმინისტრაციული, თუ სასწავლო პროცესის წარმოებისას იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემას e-vet.emis.ge, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. კოლეჯი 2024 წლიდან ახორციელებს ელექტრონულ სისტემაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(ბრძანების) შექმნას.

კოლეჯის მიერ მართვის ოპერაციების წარმოებისას ასევე გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა Google, office 365, zoom და სხვა პლატფორმები. პერსონალისა და განმახორციელებლების მიერ გასაუბრებისას დასტურდება ელექტრონული სისტემებით სარგებლობა.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ მუდმივად აწარმოებს პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემაში e-vet.emis.ge ინფორმაციის დროულ შეტანას, e-vet.emis.ge პლატფორმაზე სრულფასოვანი და შესაბამისი ხარისხის ინფორმაციის დროული შეტანის ვალდებულება აკისრია კოლეჯის ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტს, რომლის სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაშია მის პრაქტიკულ საქმიანობასთან. e-vet.emis.ge პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსების სამუშაო მოიცავს ასევე თანამშრომლების პირადი ინფორმაციის შეტანას და მუდმივ განახლებას. შემთხვევითი შერჩევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად დასტურდება სისტემებში ინფორმაციის ასახვა.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კონტროლის განმახორციელებელ უწყებებიდან შემოსული ნებისმიერი კორესპონდენცია მუშავდება და დროულად ხდება მათზე რეაგირება eflow სისტემის ან/და კოლეჯის ოფიციალური ელ. ფოსტის ან/და დირექტორის პირადი ელ. ფოსტის საშუალებით. პროფესიული უნარების სააგენტოსთან ყველა განხორციელებულ პროექტზე დადგენილ ვადებში იგზავნება ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სსიპ –კოლეჯ „ოპიზარის“ საქმისწარმოების წესით“;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით e-flow (პროგრამული უზრუნველყოფა);
- ინტერვიუს შედეგებით;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციით, გაგზავნილი ანგარიშებით.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი https://opizarivet.ge და სოციალური ქსელი facebook - სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი", გამოიყენება კოლეჯის მიერ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციით, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე დატანილია ყველა არსებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია კოლეჯის და მისი საქმიანობის შესახებ საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირებისათვის, კერძოდ: კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები; დაწესებულების სტრუქტურა; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; ინფორმაცია პერსონალის შესახებ; ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ; მთავარი სიახლეები; პროგრამების ანოტაციები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სხვა ნორმატიული დოკუმენტები; საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული კატალოგი; კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედი გეგმები, წლიური ანგარიშები; ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ; საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნულიინფორმაცია, როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები და დროული სიახლეები; მედია კომუნიკაციის ამსახველი მასალა: პრესრელიზები, საგაზეთო პუბლიკაციები, სატელევიზიო/რადიო გაშუქებები; კოლეჯის საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო გალერეა და სხვა.

ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია. ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

კოლეჯის ვებგვერდი (opizarivet.ge) ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე და უზრუნველყოფს სრულ ინფორმაციას კოლეჯის საქმიანობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი არ ახორციელებს სწავლებას უცხო ენაზე, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინგლისური ენაზე ვებ-გვერდის ავტომატური თარგმნის ფუნქცია, რომელიც იყენებს google-ს პლატფორმის თარგმნის სერვისს, აღნიშნული უზრუნველყოფს საერთაშორისო მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

პსდ ინფორმაციის გავრცელების პროცესში ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის № 15 06/03/2020 წელი, (ცვლილება: ბრძანებით N142 27/12/2023 წ) ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციით, ,,საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი" განსაზღვრავს კოლეჯის საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებებს და საქმის ადმინისტრირების ზოგად პრინციპებს, სტუდენტებთან, აპლიკანტებთან, პერსონალთან, ან სხვა პირებთან კომუნიკაციის ფორმებს, კომუნიკაციის საშუალებებს და უკუკავშირის ფორმებსა და პროცედურებს. შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სტრატეგიებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლა, საზოგადოებასთან საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების პრაქტიკა, გავრცელებული ინფორმაციის შინაარსები, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯში ღონისძიებების ჩატარებასა და პიარზე პასუხისმგებელ პირებთან და დაადგინეს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**
კოლეჯის ვებ-გვერდზე: https://opizarivet.ge/კატალოგი/, განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ხოლო https://opizarivet.ge/საგანმანათლებლო-პროგრამ/, განთავსებულია მიმდინარე პროგრამები აღწერილობებით. პროგრამის კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების პროფესიული პროგრამების საფეხურის, დაშვების წინაპირობების, განხორციელების ვადების და სხვა პარამეტრების შესახებ, ვებ-ჩანართში ,,საგანმანათლებლო პროგრამები" შესაძლებელია თითოეული პროგრამის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება (აღნიშნულზე მოპოვებულია თანხმობა ხელმძღვანელის მხრიდან), დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და დეტალური ინფორმაცია მიიღონ პროგრამების შესახებ. პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ ჩანართზე https://opizarivet.ge/მოკლევადიანი-პროგრამები/, აქვე განთავსებულია ამ პროგრამების მოკლე აღწერილობა (კატალოგი).
აღნიშნულის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ დაწესებულებას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს პროგრამების კატალოგი აღწერილობებით, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის საჭიროებისამებრ დაუკავშირდეს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს. ასევე ვებ-გვერდზე განთავსებულია მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების კატალოგი.

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**
კოლეჯის ვებ-გვერდზე: https://opizarivet.ge/კატალოგი/, განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც განახლებულია ყოველწლიურად, რაც დასტურდება ვებ-გვერდზე განთავსებული 2016, 2017 ..... 2025 წწ. კატალოგებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა გადამოწმება და დასტურდება, რომ კატალოგის ცვლილება შესაბამისობაში მოდის კოლეჯის მიერ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან, ან ცვლილებასთან, ასევე პროგრამის გაუქმების პროცედურის დადგომასთან.

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**
დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის ,,საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი" შესაბამისად, კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, ასევე ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, ელექტრონული ფოსტიდან შემოსულ ინფორმაციაზე/შეკითხვებზე, ხდება სათანადო

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

რეაგირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებიდან მირებული ინფორმაცია კითხვა, სურვილი, საჩივარი და სხვა მუშავდება დაწესებულების პერსონალის მიერ, მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესაბამისად. უკუკავშირის არხებით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ ,,საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით";
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით;
- დაწესებულების მოქმედი ვებგვერდით ქართულ ენაზე, ასევე ინგლისურენოვანი ვებგვერდით.
- პროგრამების კატალოგით;
- კოლეჯის ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი და სასწავლო საქმიანობის შესახებ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**
2. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე. კოლეჯის ძირითადი შემოსავლის წყაროა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულების მიერ წლის დასაწყისში განისაზღვრება კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტი, ხოლო წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოების შესაბამისი ბიუჯეტის ანალიზი (შესრულება, შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილი) კეთდება წლის დასასრულს და შესაბამისი ინფორმაციას წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

3. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**
4. კოლეჯის საოპერაციო ხარჯების ფინანსური რესურსის მობილიზება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაცია, მათ შორის კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების განხორციელების შესახებ, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

5. **დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;**
6. პსდ-ს შესაბამისი სამსახურის მიერ ყოველწლიურად კეთდება ფინანსური ანგარიში და წარედგინება მაკონტროლებელ ორგანოს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა აღნიშნული პრაქტიკა, ასევე შესწავლილი იქნა განაცხადის შესაბამისი დანართი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

7. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**
8. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშს, ხოლო წლის ბოლოს ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების ანალიზს, აღნიშნული ანალიზის საფუძველზე დაწესებულება წინა წლის ფაქტორების გათვალისწინებით ხელმძღვანელობს ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი'' 2024 და 2025 წლის ბიუჯეტები;
- კოლეჯის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- კოლეჯის 2024 წლის ფინანსური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში; Secondary Vocational Qualification in Welding
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება №22 12.03.2025

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შოთა რუსთაველის ქუჩა №111; ქ. ახალციხე ; სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	28
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, წარმატებით ახორციელებს სამშენებლო მიმართულების პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებს. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “შედუღების” მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი, სადაც წარმოდგენილია შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის ანალიზი, ქვეყანაში გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზი, რაც ადასტურებს სამშენებლო სექტორში კონკრეტული კვალიფიკაციის კადრების საჭიროებას.

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შედუღება“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა ,,უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინოვაციური განათლება, რომელიც ეფუძნება გლობალურ სტანდარტებს და ადგილობრივ საჭიროებებს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში”. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 2019-2025 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტში - შედუღება; Welding, სარეგისტრაციო ნომერი 07.11.1 და დაწესებულება მის განხორციელებას გეგმავს არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელებისას დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება. დაწესებულება ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ პროგრამაზე დაშვების პროცედურებს, რაც დასტურდება როგორც მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლით, ასევე ინტერვიუების საფუძველზე ადმინისტრაციულ პერსონალთან. აპლიკანტთა შერჩევა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხდება კოლეჯის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით შექმნილი, აპლიკანტთა შესარჩევი კომისიის მიერ.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია.

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილები და ტექნიკური აღჭურვილობა "შედუღების" პროგრამისათვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის 28 სტუდენტისათვის კოლეჯს გააჩნია კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით, შესაბამისი მანქანა-დანადგარებით და ხელსაწყო-იარაღებით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნო, სადემონსტრაციო საშუალებებითა და ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლას-კაბინეტი და A გარემო.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

,,შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსები, რომლის საფუძველზეც იგეგმება პროგრამაში/მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა, რელევანტურადაა განსაზღვრული. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მოხდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და დასტურდება, რომ გარდა მატერიალური რესურსებისა, პროგრამის განხორციელებისთვის ასევე მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსებიც ადექვატურადაა წარმოდგენილი.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,შედუღება" მოიცავს არჩევით მოდულს - "ლითონების აირალური შედუღება -ჭრა და პლაზმური ჭრა". არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

კოლეჯის დარგობრივი კათედრის სხდომაზე განხილულია საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება" და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ №22 ბრძანებით (12.03.25 წ).

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის "შედუღება" საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის შემუშავების საფუძველი არის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - შედუღება/Welding, სარეგისტრაციო ნომერი 07.11.1, რომლის მოთხოვნები სრულადაა გათვალისწინებული განსახილველი პროგრამის შედგენისას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. მისანიჭებელი კვალიფიკაცია დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში/Secondary Vocational Qualification in Welding, (კოდი 0715). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 87 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 117 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 72 კრედიტის მოცულობით, 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევითი ბლოკის მოდულს 4 კრედიტის მოცულობით. შედუღებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 87 კრედიტის დაგროვება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „შედუღება";
- დირექტორის ბრძანებით №22 12.03.2025 წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება" დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესით";
- კოლეჯ ,,ოპიზარში" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილით;
- მისიით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. ახალციხეში, შოთა რუსთაველის ქუჩა №111-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ გარემოში გათვალისწინებულია კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 28 პროფესიული სტუდენტი.

B გარემო (კომპიტერული კლასი) აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული ინვენტარითა (მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის) და კომპიუტერული ტექნიკით როგორც პროფესიული მასწავლებლისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის.

C გარემო აღჭურვილია შედუღების აპარატურითა და ინვენტარით. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის გარემოში განთავსებულია მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ აქტივობებს - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. მათი სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ინტერვიუირებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას ნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქციული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული ტრენინგებით. ისინი გამოთქვამენ მზაობას დამატებით ტრენინგებში მონაწილეობისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კოდექსით მოთხოვნილ არსებით პირობებს. მასში განსაზღვრულია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები, რაც დადასტურდა მათი პირადი საქმეებითა და ინტერვიუირებით. ინტერვიუირებისას პროგრამის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელის როლზე და ფუნქცია-მოვალეობებზე.

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად ფარავს პროგრამის მოდულების სწავლის შედეგებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია. ბიბლიოთეკაში გამოკრულია "ბიბლიოთეკის დებულება" და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა.

პროგრამის განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალურად, ასევე ბიბლიოთეკაში დაცულ CD/DVD დისკებზე. მათი მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო. ინტერვიუირებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ძირითადად იყენებენ საგანმანათლებლო რესურსს ელექტრონული სახით.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კოლეჯში განსაზღვრულია სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა - სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

2.2.1.7 რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 9 პროფესიული სტუდენტით. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და სხვა ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „შედუღება“;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- კოლეჯის ,, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკის დებულებით“;
- კოლეჯის “ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“;
- შესყიდვის დოკუმენტაციით და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე -განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და 2025 წლის 19 ივნისის №96 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგიები და დანართების სახით წარმოდგენილია კითხვარები (პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; დუალური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით).

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლის საფუძველზე ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, გამოკითხვების შედეგებით, შრომის ბაზრის კვლევებით, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეკრებისა და ანალიზის დოკუმენტებით, სამოქმედო გეგმებით.

2. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე განახორციელე შეაფასე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება 2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ და 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიულ ისაგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის დაკარიერის დაგეგმვის მენეჯერის, მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულება ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“;
- ხარისხის სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმით;
- 2019-2025 წწ მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების, კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემებით;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით;
- პროგრამის დამტკიცების ბრძანებით/ბრძანებით პროგრამაში ცვლილების შესახებ/ოქმით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებთ.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით დადგინდა, რომ იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია მეცადინეობის ცხრილი და პროფესიული განათლების მასწავლებლის მოდულის განხორციელების დაწყებამდე, კალენდარული გეგმები დამტკიცებულია, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სასწავლო გეგმებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობა და ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისად პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელება დაადასტურეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა მათთან გასაუბრების დროს.

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია, როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც დადასტურდა სასწავლო გარემოს დათვალიერებითა და სტუდენტებთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუირებისას.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის რეგულირების წესში განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც რეგულაციის თანახმად ერთთვიანი დაკვირვების შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას ინდ. გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, ასევე ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად სსსმ პირების შემთხვევებს უკავშირდება. სადაც ნათლად ჩანს სსსმ სტუდენტისა და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, თუმცა არ ჩანს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა რეგულირების წესში. ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებითა და კოლეჯის მიერ წარმოდგენილია

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ამ გეგმების შემუშავებისა და განხილვის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაცნობის დასტურად წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რის მიხედვითაც ხელმომწერი ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხების გაცნობის ფაქტს.დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია რეგულაციაში აღწეროს სსსმ სტუდენტის ჩართულობის პროცესი და უფრო მკაფიო გახადოს ამ ინდიკატორით მოთხოვნილი წესი.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ორ დაწესებულებასთან: ი.მ „რომან ლომიძე“ და ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრულია, რომ „შედუღების“ პროგრამის სტუდენტებს სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში გააცნობენ სამუშაოს სპეციფიკას.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულება ადგილზე ახორციელებს „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს, სადაც შიდა რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება. ასევე, პროგრამის განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას დადასტურდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა უსაფრთხო სამუშაო გარემოში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „შედუღება“;
- მემორანდუმით პარტნიორ კომპანიასთან;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიურებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ შესაბამისად, ასევე, დაწესებულებაში არსებულ მექანიზმში „ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმებით“ მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის № 70 ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი" მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ასპექტს და ვადებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს და სხვ. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა სრულად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, შესაბამისად დაწესებულებაში დანერგილია საუკეთესო პრაქტიკა.

საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის № 70 ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში"; მის საფუძველზე კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით, შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით. დაწესებულებამ სრულყოფილად წარმოადგინა რეავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილ ხუთივე პროგრამაზე შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ყველა შესაძლო რისკებია განსაზღვრული და გაცემულია რეკომენდაციები შეფასების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ვერიფიკაცია კოლეჯში განხორციელდა უკვე დასრულებული პროგრამისთვის და წარმოადგინა იმ ეტაპისთვის განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები.
3, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.
4, „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისშეფასების პროცედურებს. გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „შედუღება“, სასწავლო გეგმით, მოდულებით;
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, რეგულაციებით შეფასების სისტემის თაობაზე, არქივის წესით;
- შიდა ვერიფიკაციის წესით;
- შიდა ვერიფიკაციის დასკვნებით/ანგარიშებით;
- ვიზუალური დათვალიერები;
- შეფასების ინსტრუმენტებით და შეფასების მტკიცებულებებით;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები/ Finance services
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ დირექტორის მ/შ ბრძანება №21 12.03.2025წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ახალციხე შოთა რუსთაველის ქ.№111 ; სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

   პსდ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას. სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ მისიაა, ,,უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინოვაციური განათლება, რომელიც ეფუძნება გლობალურ სტანდარტებს და ადგილობრივ საჭიროებებს .სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში“. „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტთა აღჭურვას საბანკო ოპერაციების, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანალიზისა და საინვესტიციო მომსახურების მიმართულებით საჭირო ცოდნითა და უნარებით. მისი შინაარსი მოიცავს თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც მომავალ სპეციალისტებს აძლევს შესაძლებლობას, სწრაფად ადაპტირდნენ ცვალებად პროფესიულ გარემოში. კოლეჯის მისიაა მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინოვაციური განათლების უზრუნველყოფა. კოლეჯი „ოპიზარი“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს „საფინანსო სერვისების“ პროგრამას და სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს საბანკო და საფინანსო სექტორისთვის, ხოლო მისი გამორჩეული უპირატესობაა, რომ ხელს უწყობს როგორც ქართულენოვან, ისე არაქართულენოვან სტუდენტებს პროფესიული უნარების განვითარებასთან ერთად ეროვნული ენის სრულფასოვან ათვისებაში, რაც მათ დასაქმებასა და კარიერულ წინსვლას ამარტივებს.

   სტრატეგიული მიზანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება სრულად შეესაბამება “საფინანსო სერვისების” პროგრამის განხორციელებას, რადგან: პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის კვლევებით. არსებობს მეთოდოლოგია პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის, რაც აჩვენებს, რომ პროცესი მოთხოვნებთან შესაბამისი და გამჭვირვალეა.

   კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევების მონაცემებზე დაფუძნებული დასაბუთება, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელება არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ რეგიონულ და ეროვნულ საჭიროებებსაც პასუხობს.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

   “საფინანსო სერვისების” საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება და ასაკი 17 წელი – სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. აპლიკანტთა შერჩევა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხდება კოლეჯის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით შექმნილი, აპლიკანტთა შესარჩევი კომისიის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**
სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი" სასწავლო პრცესის რეგულირების წესში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია (მუხლი 39), რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს; ადამიანური რესურსის საკმარისობას; პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს; საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს; სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას; პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.
"საფინანსო სერვისების" პროგრამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო (A, Bგარემო), აუდიტორიები (A , Bგარემო) აღჭურვილია 15 (30 ორცვლაში) პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით; ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "საფინანსო სერვისები" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**
პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისები" განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საფინანსო სერვისები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**
სსიპ კოლეჯი „ოპიზარის" დარგობრივი კათედრის სხდომაზე საგანმანათლებლო პროგრამა ,,საფინანსო სერვისები" განხილულია და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ მიერ ბრძანება № 21 12.03.2025წ ; დაწესებულებას განაცხადით წარმოდგენილ პროგრამის პარამატერების ფორმაში განხორციელების ფორმა მითითებული ჰქონდა „იმიტირებული" „კოოპერაციულის" ნაცვლად; გასაუბრებითა და დოკუმენტების დათვალიერებით, ასევე

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდებოდა პროგრამის განხორციელების ფორმა „კოოპერაციული“ და ადგილი ჰქონდა მხოლოდ ტექნიკურ უზუსტობას, რის საფუძველზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს აღნიშნული უზუსტობა.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**
პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**
პროგრამა შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის ,,საფინანსო სერვისები“ საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ) საგანმანათლებლო პროგრამა “საფინანსო სერვისები” შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის “საფინანსო სერვისები” (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ) საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- საგანმანთლებლო პროგრამა -საფინანსო სერვისები - დირექტორის მ/შ/ ბრძანებით № 21 12.03.2025წ
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- კოლეჯის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებით.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ.ახალციხე შოთა რუსთაველის ქ.№111-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A , B გარემოები, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) . A /B სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია , რომელიც განკუთვნილია პროგრამის „საფინანსო სერვისების“ 15 (ორ ცვლაში 30) პროფესიული სტუდენტზე. აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი პროგრამა ალტას დემო ვერსია, ფულის ამომცნობ დეტექტორი, ფულის სათვლელ მანქანა, საინკასაციო ჩანთა, თემატური თვალსაჩინოებები, ლუპა, ფულის მულაჟები, შესაფუთი და დასალუქი საშუალებები, ბეჭდები/შტამპები, და ა.შ., რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს მიკრობანკი „ემბისითან“ გათვალისწინებულია მოდული გაცნობითი პრაქტიკა-„საფინანსო სერვისები“ (ს/შ/2), მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების“ (ს/შ 2) გატანა. შ.პ.ს. „ნადათთან“. მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები“(ს/შ 2) , მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების“ (ს/შ 1) და მოდული „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლის“ (ს/შ 2,4)გატანა. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. ხელშეკრულება მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისების“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საფინანსო სერვისების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 30 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის/მიღების შემთხვევაში 15-15 პროფესიული სტუდენტი).

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ალტას სატესტო პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ სხვადასხვა მატერიალურ რესურს (ფულის ამომცნობ დეტექტორს, ფულის სათვლელ მანქანას, საინკასაციო ჩანთას, ფულის მულაჟებს, შესაფუთ და დასალუქ საშუალებებს, ბეჭდებს/შტამპებს, და ა.შ.). პრაქტიკის ობიექტებზე სს მიკრობანკი „ემბისითან“ ახდენდნენ სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორციელებას,: მომხმარებლის მიღებას/გადამისამართებას; თანხის შეტანას მოლარე-ოპერატორის თანდასწრებით; გზავნილის მიღება/გაცემას მოლარის თანდასწრებით; საკრედიტო ოფიცერთან ერთად სესხის შეფასებას და სხვა. სავაჭრო ობიექტზე შ.პ.ს. „ნადათთან“ მომხმარებლის მიღებას; ფასების კონტროლს, კონსულტაციის გაწევა და სხვა. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 18 მასწავლებელი, აქედან 13 განახორციელებს ზოგად, ხოლო 5 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი/სამი განმახორციელებელი პერსონალი.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარება. იგეგმება და პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება სწავლების მეთოდების სრულყოფის, სტუდენტის მიღწევის შეფასების და კვალიფიკაციის მინიჭების ორგანიზების კუთხით. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**
პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „საფინანსო სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში სადაც განთავსებულია სამი კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**
კოლეჯს აქვს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ და უკანა ეზოში გასასვლელთან, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი და ლიფტი საჭიროების შემთხვევაში კოლეჯს გააჩნია სსსმ პირებისათვის ადამიანური რესურსი(ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და ასისტენტი) რომელებიც მასწავლებელთან ერთად შეიმუშავებენ პროგრამის შესაბამის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**
პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება. ადმინისტრაციის ხელფასი (სუბსიდია), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა (სუბსიდია), პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელფასი (ვაუჩერი), სასწავლო მასალების ხარჯი (ვაუჩერი) ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარია 7 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- დირექტორის მ/შ. ბრძანება № 21 12.03.2025წ. საგანმანთლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისები“ - დამტკიცების დოკუმენტით;
- კოლეჯის ,, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესითა და ,,ბიბლიოთეკის დებულებით“;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პერსონალის პირადი საქმით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმით;
- პროგრამის ‘საფინანსო -სერვისები“ ბიუჯეტით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე -განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგიები და დანართების სახით წარმოდგენილია კითხვარები(პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტისშეფასების მიზნით; დულური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით).

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას გამოვლინდა ,რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლის საფუძველზე ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, გამოკითხვების შედეგებით, შრომის ბაზრის კვლევებით, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეკრებისა და ანალიზის დოკუმენტებით, სამოქმედო გეგმებით.

2.კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე განახორციელე შეაფასე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ და 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიულ ისაგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის დაკარიერის დაგეგმვის მენეჯერის, მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულება ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“
- ხარისხის სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმით;
- 2019-2025 წწ მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების,კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემებით;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება/ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ/ოქმით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

- პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
- პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
- სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
- პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
- პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია გაკვეთილის ცხრილი და პროფესიული განათლების მასწავლებლის მოდულის დაწყებამდე კალენდარული გეგმები დამტკიცებულია რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სასწავლო გეგმებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობა და ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისად პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელება დაადასტურეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა მათთან გასაუბრების დროს.

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიულ მასწავლებლებს და რის საფუძველზეც გააკეთდა დასკვნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც დადასტურდა სასწავლო გარემოს დათვალიერებითა და სტუდენტებთან და განახორციელებლებთან ინტერვიუირებისას.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის რეგულირების წესში განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც რეგულაციის თანახმად ერთთვიანი დაკვირვების შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას ინ. გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, ასევე ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად სსსმ პირების შემთხვევებს უკავშირდება. სადაც ნათლად სჩანს სსსმ სტუდენტისა და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, თუმცა არ ჩანს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა რეგულირების წესში. ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებითა და კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ამ გეგმების შემუშავებისა და განხილვის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაცნობის დასტურად წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რის მიხედვითაც ხელმომწერი ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხების გაცნობის ფაქტს.დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია რეგულაციაში აღწეროს სსსმ სტუდენტის ჩართულობის პროცესი და უფრო მკაფიო გახადოს ამ ინდიკატორით მოთხოვნილი წეს

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ორ ორგანიზაციასთან: სს მიკრობანკი „ემბისი“ და შპს „ნადათი“; ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ „საფინანსო სერვისების“ პროგრამის სტუდენტებს მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ჩაუტარდებათ აღნიშნულ ორგანიზაციებში;კერძოდ, „გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისევი“ - სწ/შ 2 , „საწარმოო პრაქტიკა- საფინანსო სერვისები“ - სწ/შ 1,2; „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“- სწ/შ 2,4.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულება ადგილზე ახორციელებს პროგრამა „საფინანსო სერვისების“ თითქმის ყველა მოდულებს, გარდა ხელშეკრულებით გასაზღვრული რამდენიმე სწავლის შედეგებისა, კერძოდ, „გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისევი“ - სწ/შ 2 , „საწარმოო პრაქტიკა- საფინანსო სერვისები“ - სწ/შ 1,2; „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“- სწ/შ 2,4, სადაც შიდა რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება. ასევე, პროგრამის განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას დადასტურდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა უსაფრთხოდ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „საფინანსო სერვისები“;
- მემორანდუმით გაფორმებულ პარტნიორ კომპანიასთან;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

2, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანებით № 70 დამტკიცებული "სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში"; მის საფუძველზე კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით. დაწესებულებამ სრულყოფილად წარმოადგინა რეავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილ ხუთივე პროგრამაზე შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ყველა შესაძლო რისკებია განსაზღვრული და გაცემულია რეკომენდაციები შეფასების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ვერიფიკაცია კოლეჯში განხორციელდა უკვე დასრულებული პროგრამისთვის და წარმოადგინა იმ ეტაპისთვის განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები.

3, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის საფუძველზე. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

4, ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესით" კოლეჯში რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „ადმინისტრაციული სერვისები ", სასწავლო გეგმითა და მოდულებით;
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით" - რეგულაციები შეფასების სისტემის თაობაზე, არქივის წესით
- შიდა ვერიფიკაციის წესით;
- შიდა ვერიფიკაციის დასკვნები/ანგარიშებით;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

- ვიზუალური დათვალიერების შედეგებით
- შეფასების ინსტრუმენტებითა და შეფასების მტკიცებულებებით;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფრჩხილის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ დირექტორის ბრძანება №124 19.11.2021წ. (ცვლილება, ბრძანება №21 12.03.2025 წ.)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ.№111; სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	24
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

- **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.2 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფრჩხილის მომსახურება“ თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევები, როგორც რეგიონის, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ.

პსდ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას. სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ მისიაა, ,,უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინოვაციური განათლება, რომელიც ეფუძნება გლობალურ სტანდარტებს და ადგილობრივ საჭიროებებს .სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში“. „ფრჩხილის მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტთა აღჭურვას ადამიანის პირადი ჰიგიენის მიმართულებით საჭირო ცოდნითა და უნარებით.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

“ფრჩხილის მომსახურების” საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება, სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. აპლიკანტთა შერჩევა საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხდება კოლეჯის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით შექმნილი, აპლიკანტთა შესარჩევი კომისიის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი” სასწავლო პრცესის რეგულირების წესში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია (მუხლი 39), რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს; ადამიანური რესურსის საკმარისობას; პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს; საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს; სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას; პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

“ფრჩხილის მომსახურების” პროგრამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო (AC და B გარემო), აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით ზღვრული ოდენობის შესაბამისად; ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “ფრჩხილის მომსახურება” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ფრჩხილის მომსახურება“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ფრჩხილის მომსახურება” მოიცავს ერთ არჩევით მოდულს ,,დარგობრივი რუსული ენა“, რაც რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით სრულად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და ლოგიკურ ბმაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან .

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ დარგობრივი კათედრის სხდომაზე საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფრჩხილის მომსახურება“ განხილულია და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება 19.11.2021 №124 (ცვლილება №21 12.03.2025წ.).

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „თმისა და სილამაზის მომსახურება“ 10119-პ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- საგანმანთლებლო პროგრამით - ფრჩხილის მომსახურება - დირექტორის №124 19.11.2021 ბრძანება (ცვლილება №21 12.03.2025წ.);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილით;
- კოლეჯის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მისამართზე ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ. №111. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია AC გარემო.

AC სასწავლო გარემო - აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით და კეთილმოწყობილია სტანდარტის შესაბამისად, აღნიშნული გარემო განკუთვნილია პროგრამის „ფრჩხილის მომსახურება“ ზღვრული რაოდენობისთვის 24 (ერთ ცვლაში 12 სტუდენტი) პროფესიულ სტუდენტზე. სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის, რომელიც ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დაფით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი) და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). პრაქტიკისთვის აუცილებელი ძირითადი ტექნიკითა და ინვენტარით. შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

B სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი/ნოუთბუქი), მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი).

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მომსახურება“, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 2, ხოლო 11 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი/სამი განმახორციელებელი პერსონალი.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარება. იგეგმება და პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება სწავლების მეთოდების სრულყოფის, სტუდენტის მიღწევის შეფასების და კვალიფიკაციის მინიჭების ორგანიზების კუთხით. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები,

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ფრჩხილის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში სადაც განთავსებულია სამი კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
კოლეჯს აქვს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ და უკანა ეზოში გასასვლელთან, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი და ლიფტი საჭიროების შემთხვევაში კოლეჯს გააჩნია სსსმ პირებისათვის ადამიანური რესურსი(ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და ასისტენტი) რომელებიც მასწავლებელთან ერთად შეიმუშავებენ პროგრამის შესაბამის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც ადაპტირებული

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება. ადმინისტრაციის ხელფასი (სუბსიდია), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა (სუბსიდია), პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელფასი (ვაუჩერი), სასწავლო მასალების ხარჯი (ვაუჩერი) ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარია 5 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- საგანმანთლებლო პროგრამით - ფრჩხილის მომსახურება - დირექტორის №124 19.11.2021 ბრძანებით (ცვლილება №21 12.03.2025წ.) დამტკიცებულით;
- კოლეჯის ,, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესითა და ,,ბიბლიოთეკის დებულებით“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაცია;
- პერსონალის პირადი საქმით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმით;
- პროგრამის ,,ფრჩხილის მომსახურება“ ბიუჯეტით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯში მოქმედებს დირექტორის ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე -განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგიები და დანართების სახით წარმოდგენილია კითხვარები(პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტისშეფასების მიზნით; დულური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით).

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას გამოვლინდა ,რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლის საფუძველზე ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, გამოკითხვების შედეგებით, შრომის ბაზრის კვლევებით, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეკრებისა და ანალიზის დოკუმენტებით, სამოქმედო გეგმებით.

2.კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე განახორციელე შეაფასე-გადახედე/ გაუმჯობესე“

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ და 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიულ ისაგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის დაკარიერის დაგეგმვის მენეჯერის, მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულება ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით
- 2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“
- ხარისხის სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმით;
- 2019-2025 წწ მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების,კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემებით;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება/ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ/ოქმით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია გაკვეთილის ცხრილი და პროფესიული განათლების მასწავლებლის მოდულის დაწყებამდე კალენდარული გეგმები დამტკიცებულია რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სასწავლო გეგმებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობა და ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისად პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელება დაადასტურეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა მათთან გასაუბრების დროს.

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიულ მასწავლებლებს და რის საფუძველზეც გააკეთდა დასკვნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც დადასტურდა სასწავლო გარემოს დათვალიერებითა და სტუდენტებთან და განახორციელებლებთან ინტერვიუირებისას.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის რეგულირების წესში განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც რეგულაციის თანახმად ერთთვიანი დაკვირვების შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას ინ. გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, ასევე ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად სსსმ პირების შემთხვევებს უკავშირდება. სადაც ნათლად სჩანს სსსმ სტუდენტისა და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, თუმცა არ ჩანს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა რეგულირების წესში. ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებითა და კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ამ გეგმების შემუშავებისა და განხილვის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაცნობის დასტურად წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რის მიხედვითაც ხელმომწერი ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხების გაცნობის ფაქტს.დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია რეგულაციაში აღწეროს სსსმ სტუდენტის ჩართულობის პროცესი და უფრო მკაფიო გახადოს ამ ინდიკატორით მოთხოვნილი წეს

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ორ დაწესებულებასთან: ი.მ „ნათია ლომიძე"; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრულია, რომ „ფრჩხილის მომსახურების" პროგრამის სტუდენტებს სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში გააცნობენ სამუშაო სპეციფიკას.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
დაწესებულება ადგილზე ახორციელებს პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება" ყველა მოდულებს, სადაც შიდა რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება. ასევე, პროგრამის განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას დადასტურდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა უსაფრთხოდ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „ფრჩხილის მომსახურება";
- პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმით;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ შესაბამისდ, ასევე, დაწესებულებაში არსებულ მექანიზმში „ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმებით“ მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანებით № 70 დამტკიცებული “სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი” მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ასპექტს და ვადებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს და სხვ. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა სრულად უზურნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას და დაწესებულებაში არის დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა.

საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანებით № 70 დამტკიცებული “სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში”; მის საფუძველზე კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით. დაწესებულებამ სრულყოფილად წარმოადგინა რეავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილ ხუთივე პროგრამაზე შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ყველა შესაძლო რისკებია განსაზღვრული და გაცემულია რეკომენდაციები შეფასების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ვერიფიკაცია კოლეჯში განხორციელდა უკვე დასრულებული პროგრამისთვის და წარმოადგინა იმ ეტაპისთვის განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები.

3, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის საფუძველზე. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

4, ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ კოლეჯში რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ფრჩხილის მომსახურება“, სასწავლო გეგმა,მოდულები;
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ - რეგულაციები შეფასების სისტემის თაობაზე, არქივის წესით
- შიდა ვერიფიკაციის წესით;
- შიდა ვერიფიკაციის დასკვნები/ანგარიშებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგებით
- შეფასების ინსტრუმენტებითა და შეფასების მტკიცებულებებით;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

V. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში /Secondary Vocational Qualification in Forestry
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ დირექტორის ბრძანება № 41 31/05/2019 წ. (ცვლილება, ბრძანება №23 12.03.25 წ.)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ახალციხე შოთა რუსთაველის ქ.№111 ; სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“,სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო .
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

- **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად
2. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
6. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
7. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
8. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
9. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევები, როგორც რეგიონის, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ.

პსდ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას. სსიპ კოლეჯი „ოპიზარის" მისიაა, ,,უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინოვაციური განათლება, რომელიც ეფუძნება გლობალურ სტანდარტებს და ადგილობრივ საჭიროებებს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში". „სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიულ სტუდენტთა აღჭურვას ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი რესურსის ტყის მოვლის და ნორმალური ექსპლუატაციის საჭირო ცოდნითა და უნარებით.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება, სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. აპლიკანტთა შერჩევა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხდება კოლეჯის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი, აპლიკანტთა შესარჩევი კომისიის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის" სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია (მუხლი 39), რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს; ადამიანური რესურსის საკმარისობას; პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს; საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

ზღვარს; სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას; პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.
“სატყეო საქმის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო (A, B და C გარემო), აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით, ზღვრული ოდენობის შესაბამისად; ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “სატყეო საქმე” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “სატყეო საქმე” არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ დარგობრივი კათედრის სხდომაზე საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე“ განხილულია დარგობრივ კათედრაზე და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 31 მაისის № 41 ბრძანებით (ცვლილება, ბრძანება №23, 12.03.25 წ.).

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სატყეო საქმე“ 08.2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ დამტკიცების შესახებ, დირექტორის ბრძანებით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილით;
- კოლეჯის მისიით და სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მისამართზე, ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ. №111. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო.

სასწავლო გარემო - აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით და კეთილმოწყობილია სტანდარტის შესაბამისად, აღნიშნული გარემო განკუთვნილია პროგრამის „სატყეო საქმის“ ზღვრული რაოდენობისთვის 30 (ერთ ცვლაში 15 სტუდენტი) პროფესიულ სტუდენტზე. სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის, რომელიც ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დაფით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი) და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი). პრაქტიკისთვის აუცილებელი ძირითადი ტექნიკითა და ინვენტარით. შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე  **თეა ხარაზიშვილი** 

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

B სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი/ნოუთბუქი), მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი).
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება სატყეო სააგენტოსთან. ხელშეკრულება შედგენილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №416 დადგენილების შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის შეფასება, გასაუბრებისას დადგინდა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთა მზაობა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კუთხით, შეფასდა არსებული მატერიალური რესურსის არსებობა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის ,,სატყეო საქმე" სტუდენტებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას და მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სატყეო საქმე", დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 3, ხოლო 7 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი/სამი განმახორციელებელი პერსონალი.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება. იგეგმება და პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება სწავლების მეთოდების სრულყოფის, სტუდენტის მიღწევის შეფასების და კვალიფიკაციის მინიჭების ორგანიზების კუთხით. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ, როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პირადი საქმეების შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში, სადაც განთავსებულია სამი კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯს აქვს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ და უკანა ეზოში გასასვლელთან, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

პანდუსი და ლიფტი საჭიროების შემთხვევაში კოლეჯს გააჩნია სსსმ პირებისათვის ადამიანური რესურსი (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და ასისტენტი) რომლებიც მასწავლებელთან ერთად შეიმუშავებენ პროგრამის შესაბამის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება. ადმინისტრაციის ხელფასი (სუბსიდია), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა (სუბსიდია), პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელფასი (ვაუჩერი), სასწავლო მასალების ხარჯი (ვაუჩერი) ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარია 5 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ დამტკიცების შესახებ, დირექტორის ბრძანებით;
- კოლეჯის ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით და ,,ბიბლიოთეკის დებულებით“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმით;
- პროგრამის ,,სატყეო საქმე“ ბიუჯეტით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე -განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგიები და დანართების სახით წარმოდგენილია კითხვარები(პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტისშეფასების მიზნით; დულური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით).

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას გამოვლინდა ,რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლის საფუძველზე ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, გამოკითხვების შედეგებით, შრომის ბაზრის კვლევებით, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეკრებისა და ანალიზის დოკუმენტებით, სამოქმედო გეგმებით.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე განახორციელე შეაფასე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება ცვლილება-2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ და 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიულ ისაგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის დაკარიერის დაგეგმვის მენეჯერის, მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულება ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 19 ივნისის № 96 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2023 წლის 27 დეკემბრის № 146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“
- ხარისხის სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმით;
- 2019-2025 წწ მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების,კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემებით;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით;
- პროგრამის დამტკიცების ბრძანებით/ბრძანებით პროგრამაში ცვლილების შესახებ/ოქმით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით, იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია გაკვეთილის ცხრილი და პროფესიული განათლების მასწავლებლის მოდულის დაწყებამდე კალენდარული გეგმები დამტკიცებულია რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სასწავლო გეგმებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობა და ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისად პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელება დაადასტურეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა მათთან გასაუბრების დროს.

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიულ მასწავლებლებს და რის საფუძველზეც გააკეთდა დასკვნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც დადასტურდა სასწავლო გარემოს დათვალიერებითა და სტუდენტებთან და განახორციელებლებთან ინტერვიუირებისას.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის რეგულირების წესში განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც რეგულაციის თანახმად ერთთვიანი დაკვირვების შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას ინ. გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, ასევე ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად სსსმ პირების შემთხვევებს უკავშირდება. სადაც ნათლად სჩანს სსსმ სტუდენტისა და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, თუმცა არ ჩანს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა რეგულირების წესში. ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებითა და კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ამ გეგმების შემუშავებისა და განხილვის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაცნობის დასტურად წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რის მიხედვითაც ხელმომწერი ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხების გაცნობის ფაქტს.დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია რეგულაციაში აღწეროს სსსმ სტუდენტის ჩართულობის პროცესი და უფრო მკაფიო გახადოს ამ ინდიკატორით მოთხოვნილი წეს

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ორ დაწესებულებასთან: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო და შპს გეო-ფლაუერი; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრულია, რომ სატყეო საქმის პროგრამის სტუდენტებს სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში გააცნობენ სამუშაო სპეციფიკას; ასევე, გარკვეული მოდულების სწავლის შედეგები განხორციელდება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან; კერძოდ, „ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება“ - სწ/შ 3 ; „ხე-ტყის დამზადება - სწ/შ 2 ; „ტყის რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავალო ბილიკების განვითარება“ - სწ/შ 2; „მეტყევეობა და ტყეთმოწყობა - სწ/შ 3 ; „ტყის დაცვა მავნებლურ-დაავადებისგან“- 91 სთ ; „საწარმოო პრაქტიკა“ – 226 სთ; „ტყეთმოწყობა - სწ/შ 4 „

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულება ადგილზე ახორციელებს პროგრამა „სატყეო საქმე“ გარკვეულ მოდულებს, ზემოთაღწერილი მოდულების გარკვეულ სწავლის შედეგებსა და სააათებს საწარმოში; კერძოდ, „ტყის მერქნიან საეობათა თესლების წარმოება“ - სწ/შ 3 ; „ხე-ტყის დამზადება - სწ/შ 2 ; „ტყის რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავალო ბილიკების განვითარება“ - სწ/შ 2; „მეტყევეობა და ტყეთმოწყობა - სწ/შ 3 ; „ტყის დაცვა მავნებლურ-დაავადებისგან“- 91 სთ ; „საწარმოო პრაქტიკა“ – 226 სთ; „ტყეთმოწყობა - სწ/შ 4 „ სადაც შიდა რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება. ასევე, პროგრამის განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას დადასტურდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა უსაფრთხოდ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სატყეო საქმე“;
- მემორანდუმით პარტნიორ კომპანიასთან;
- სასწავლო პროცესის რეგულირებისწესით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ შესაბამისდ, ასევე, დაწესებულებაში არსებულ მექანიზმში „ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმებით“ მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანებით № 70 დამტკიცებული “სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი” მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ასპექტს და ვადებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს და სხვ. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა სრულად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას და დაწესებულებაში არის დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა.

საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის № 70 ბრძანებით დამტკიცებული “სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში”; მის საფუძველზე კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით. დაწესებულებამ სრულყოფილად წარმოადგინა რეავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილ ხუთივე პროგრამაზე შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ყველა შესაძლო რისკებია განსაზღვრული და გაცემულია რეკომენდაციები შეფასების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ვერიფიკაცია კოლეჯში განხორციელდა უკვე დასრულებული პროგრამისთვის და წარმოადგინა იმ ეტაპისთვის განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები.

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

3, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის საფუძველზე. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.
4, ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სატყეო საქმე", სასწავლო გეგმით,მოდულებით;
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით", რეგულაციებით შეფასების სისტემის თაობაზე, არქივის წესით;
- შიდა ვერიფიკაციის წესით;
- შიდა ვერიფიკაციის დასკვნებით/ანგარიშებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შეფასების ინსტრუმენტებით და შეფასების მტკიცებულებებით;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია **ირმა ღარიბაშვილი**

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე **თეა ხარაზიშვილი**

ეკატერინე ბალარჯიშვილი **გიული გურგენიძე**

მაია ხურცილავა

16.07.2025

თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია

ირმა ღარიბაშვილი

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე

თეა ხარაზიშვილი

ეკატერინე ბალარჯიშვილი

გიული გურგენიძე

მაია ხურცილავა